ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 18 იანვარი, 2019 | №14 (7869) | ფასი: 60 თეთრი

„უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას მხოლოდ სააკაშვილის მომხრე მეუფეები ემხრობიან“



გვ.6

ნანა დევდარიანი: „უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია პოროშენკოს ავანტიურაა“

17 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„აფეთქების ხმა გავიგე, ბავშვების ხროტინი მესმოდა, ჩემი ხელით გამოვიყვანე ჩემი შვილები“

გვ.7

დიდი ტრაგედია დიდ დილომში

კალაძე: „ამ კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებას უახლოეს მომავალში ვაპირებდით“

გვ.3

„დიდი დილმის ტრაგედია ბოლომდე თუ არ გამოვიძიეთ, მორიგი აფეთქება მოხდება“

ლევან ხაბეიშვილი: „ადამიანების სიცოცხლე ვიღაცების ბიზნესინტერესებს ეწირება“

„გახარია თავს მოიკლავს და პრემიერობას არ დათანხმდება“

მეგი გოცირიძე: „ერთადერთი მცნება, რომელსაც ივანიშვილი ასრულებს, არის – გიყვარდეს მტერი შენი პუტინი“

გვ.2

ნაზი ჯანეზაშვილი: „მადლობა მეთოფიშვილს, რომ თავისი პოსტებით საზოგადოებას თავი ასე დაანახა“

გვ.4

„უზენაესის კანდიდატების ბიოგრაფიები და კავშირები დეტალურად უნდა შევისწავლოთ“



გვ.3

გია არაბიძე: „გაზის აფეთქება ხმამაღალი დაცემინებითაც შეიძლება მოხდეს“

გვ.5

ლევან ალაფიშვილი: „ახლა ამომრჩეველსა და „ქართულ ოცნებას“ ერთმანეთთან ანგარიშები აქვთ გასასწორებელი“

ლევან ჩაჩუა: „გაზის გაჟონვის შედეგად ადამიანების მასობრივად დალუპვა არასწორი კანონმდებლობის ბრალია“

გვ.4

ზაზა ხატიაშვილი: „წულუკიანი და პარლამენტი ქვეყანას ლუპავენ“

გვ.5

სამართალი

გვ.7

გიორგი ადუაშვილს ბრალი 2 მუხლით წაუყენეს

იგოეთთან ერთმანეთს 20 მანქანა შეეჯახა

ISSN 1987-9385

6 რა სტატუსი ექნება ქართუს მიერ განულებულ სესხებს – კრედიტინფო განმარტებას აკეთებს

7 ქუთაისში ტრაილერი საავტომობილო გზიდან გადავიდა და ხევში ჩავარდა

6 ზაზა ფაჩულია სიონის ტბასთან სასტუმროს ააშენებს

8 მოხდება თუ არა რუსეთის მიერ ბელორუსის ანექსია?!

„გახარია თავს მოიკლავს და პრემიერობას არ დათანხმდება“

მეგი გოცირიძე: „ერთადერთი მცნება, რომელსაც ივანიშვილი ასრულებს, არის – გიყვარდეს მტერი შენი პუტინი“

შორენა მარსაგიშვილი

დამიჯერეთ, აურა, რომელიც დღეს ქვეყანაშია, კარგს არაფერს მოგვიტანს, სატანა მეფობს ივანიშვილის სახით ქვეყანაში და ვერაფერი შეაჩერებს აქ გამეფებულ ჯოჯოხეთურ სიბნელეს და ამ სიბნელეში გამეფებულ სიკვდილს, რომელიც ყველა ჩვენგანს გვიახლოვდება, ოღონდ, არავინ ვიცით, საიდან და როდის.

რატომ ტრიალებს ქვეყანაში ამდენი უბედურება, რას ვერ იყოფენ „ოცნებაში“, რა დავალებები აქვთ მიღებული რუსეთიდან ჩამოსულ მინისტრებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.

მეგი გოცირიძე:

– ლაპარაკიც კი მიჭირს, იმდენი საშინელება მოხდა ქვეყანაში. კარგს რას ელოდებით, როცა პრეზიდენტი პირდაპირ ამბობს – მე ფრანგი პენსიონერი ვარ და, რაც ქვეყანაში ხდება, არ მეხება.

ანალოგიური პოზიცია აქვს ხელისუფლებას. რაც არ უნდა მოხდეს, ყველაფერს სისხლიან 9 წელს აბრალებენ. დიდი იმედი მაქვს, რომ დიდ დიღომში მომხდარ ტრაგედიასაც 9 წელს არ დააბრალებენ.

– მთლად ეგეთი დარწმუნებულიც ნუ იქნებით, მეოცნებეებმა უკვე ახსენეს 9 წელი.

– ზღვარგადასული ცინიზმია. კორპუსი, სადაც ამხელა ტრაგედია დატრიალდა, სულ ახლახან აშენდა და მას ნაციონალების მმართველობის პერიოდთან არანაირი საერთო არ აქვს.

ერთ რამეს შევეგუოთ, საქართველო აღარ არის სახელმწიფო. აქ ყველა მიმართულებით არის საცობი და დაღმართზე მივექანებით. ხელისუფლება საერთოდ არ გვყავს. ყველაფერზე პასუხს 9 წელი აგებს.

იმის ნაცვლად, რომ „ყაზტრანსგაზმა“ თავისი საქმე აკეთოს, ხელისუფლებასთან ერთად არჩევნების გაყალბებაში მონაწილეობს. ჩემს მეზობლებს 20-25 წლის წინ აქვთ ბინები გაყიდული. რამდენიმე მათგანი გარდაიცვალა კიდევაც. აქ სხვა ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ გაზის ქვითრები ისევ ძველი მეპატრონეების სახელზე მოდის.

– ახალ მეპატრონეებს არ მისდით ქვითრები?

– მათაც მოსდით და ძველ მეპატრონეებსაც. საინტერესო ის არის, რომ ძველი მეპატრონეების სახელზე მოდის უწყებები, რომ ისინი არჩევნებზე წავიდნენ. ეს ადამიანები ახალი მისამართზეც აძლევენ ხმას და ძველზეც. ძველზე მათ ნაცვლად სხვა აძლევს. საამისოდ წულუკიანს ყალბი პირადობები აქვს დაბეჭდილი.

– 9 წლის ხსენება არ მოგწონთ, მაგრამ მეც უნდა გიხსენოთ 9 წელი. იმ 9 წლის განმავლობაში თუ მოდიოდა ამ ადამიანების სახელზე ქვითრები?

– ეგ არ მახსოვს, ახლა ნამდვილად მოდის. მაშინ თუ მოდიოდა, მაშინაც დანაშაული იყო.

მე არ მივეკუთვნები იმ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის დროს ყველაფერი კარგად იყო. ეს 9 წელი ხომ დამთავრდა და როდემდე უნდა ილაპარაკონ ქოცებმა ამაზე? იმის ნაცვლად, რომ საქმე აკეთონ, რაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, სულ 9 წელზე ლაპარაკობენ.

„ყაზტრანსგაზი“ სრულიად არაპროფესიონალებით არის დაკომპლექტებული. პროფესიონალები გაუშვეს და ქოცაქტივისტები დაასაქმეს, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ, რა უნდა გააკეთონ. ამიტომაც ხდება ამდენი ტრაგედია. დღე არ გავა, ან გაზი არ აფეთქდეს, ან არ გაჟონოს.

ერთ მხარეს დგას განათლებული და კულტურული ხალხი და მეორე მხარეს – შავბნელი წარსულის მქონეები და ჩაცუცქულები. და ეს გარეწრები ხალხს მიშას დაბრუნებით აშინებენ. იმდენიც კი არ იციან, რომ წესიერ ადამიანებს სააკაშვილის დაბრუნების არ ეშინიათ.

იცით, რატომ არ ეშინიათ? იმიტომ, რომ მიშას დროს კანონი კანონობდა და მანქანით ვერ გაივლიდი, ღვედი თუ არ გეკეთა. ახლა ღვედიც აწყვეტილი აქვთ და სხვა ყველაფერიც.

მთელმა საქართველომ ნახა, როგორ ავიდა ერთი ტიპი პოლიციის მანქანაზე და როგორ მოშარდა იქ. ეს არის პირველ რიგში სახელმწიფოს შეურაცხყოფა. რაც ქოცები ხელისუფლებაში მოვიდნენ, ათზე მეტი პოლიციელია დაჭრილი და გარდაცვლილი. პოლიციელებს პოლიციის ეზოში ხოცავენ.

ამ დროს რას მიკეთებს რუსი გახარია? იმის ნაცვლად, რომ კრიმინალებს სდიოს, ერთი თვე სამეგრელოში იჯდა და იქ კრიმინალებთან ერთად ცდილობდა არჩევნების მოგებას. ცდილობდა, მაგრამ წააგო.

– რანაირად წააგო, მეორე ტური მოიგო „ოცნებამ“.

– არა გენაცვალე, ქოცებს არაფერი მოუგიათ. ჩვენი მომხრეების ნამდვილი დევნა მიდიოდა, გახარია და კრიმინალები დაგდევდნენ, მაგრამ ზუგდიდი მხოლოდ რამდენიმე ხმით მოგვიგეს. ის შედეგი, რომელიც მაგათ დადეს, იყო წაგება.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ მის პრემიერად გადაყვანაზე. მისი გაპრემიერება გამორიცხულია.

– რატომ არის გამორიცხული?

– იმიტომ, რომ ეს მისი დაქვეითება იქნება. ივანიშვილის ხელისუფლებაში პრემიერობა დაქვეითებაა და მეტი არაფერი. გახარია თავად იტყვის პრემიერობაზე უარს და მეორე, ამას კრემლი არ დაუშვებს.

– კრემლს ვინ ეკითხება?

– ვინ და გახარია. კრემლმა ის, ივანიშვილის მსგავსად, აქ სპეცდავალებით გამოგზავნა. გახარია ქვას თავს შეუშვერს და მთავრობის მეთაური არ გახდება. დამიჯერეთ, დღეს პრემიერს ქოცაქტივისტზე მეტი უფლებები არა აქვს.

– მთლად ასეც არ უნდა იყოს დაკნინებული პრემიერის პოსტი.

– ამაზე მეტი დაკნინება რად გინდა, არაფრის უფლება მაგათ არა აქვთ და, როცა ივანიშვილი უბრძანებს, მაშინ წავლენ. ასე იყო ღარიბაშვილის შემთხვევაში. ივანიშვილის ბრძანებით წავიდა კვირიკაშვილიც. გაურკვეველი ბავშვი ბახტაძეც ეგრევე წავა. გახარიას არ უნდა, უუფლებო იყოს.

ეს რა დღეში ვართ, მთავარსარდალი ჰქვია იმ ქალს, რომელიც ამბობს, პოლიტიკოსი არა ვარო. დარწმუნებული ვარ, არც თავად უნდოდა პრეზიდენტობა, მაგრამ უბრძანეს და ისიც დათანხმდა ამ უუფლებო პოსტს.

– ვინ უბრძანა?

– ვინ და პუტინმა. ის რუსეთის მთავარი მოწმე იქნება ჰაგის სასამართლოში. პრეზიდენტი რომ მისცემს ჩვენებას, ამას სულ სხვა რეზონანსი ექნება.

ამ მოღალატეზე ხმას არავინ იღებს, სამაგიეროდ, დავით კირკიტაძე ჩასვეს ციხეში, რომელსაც არაფერი დაუშავებია. იმაზე, რაც კახეთში მოხდა, ხელისუფლებამ უნდა აგოს პასუხი.

მათ გზა ჩაგვიხერგეს გაურკვეველი წარმოშობის ავტობუსით. დათო იქ ავიდა იმიტომ, რომ ავტობუსი გადაეყენებინა. ეს ბიჭი ციხეშია, სამაგიეროდ, კრიმინალები დადიან თავისუფლად.

კახეთი გავიხსენე და გომბორში მოხდა საინტერესო ფაქტი. ვიღაცებმა მაღაზია გაძარცვეს და წერილი დატოვეს ხელისუფლების სახელზე – ამხელა სანახაობას რომ გვაჩვენებთ, პური ხომ უნდა მივატანოთო.

გაიგეთ, ხალხო, ივანიშვილის სახით ქვეყანაში სატანა გამეფდა. ის ხელისუფლებაში 9 თვის ბარბარე რაფალიანცის შეკვეთილი მკვლელობით მოვიდა. ბოლო არჩევნების წინ 9 წლის ბავშვი მოკლეს და აწამეს. ეს რიცხვი 9 ცუდად აქვთ ამოჩემებული.

ივანიშვილის მიერ დამკვიდრებულ წყვდიადში სიკვდილია გამეფებული, რომელიც ყველა ჩვენგანს თავზე გვაზის.

ახლა კანაფის პლანტაციები ამოიჩემა ამ სატანამ. თავის დროზე მიშამ სტადიონები იმიტომ ააშენა, რომ ბავშვებს ჯანსაღი ცხოვრების წესით ეცხოვრათ. ადრე იქ ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ, ახლა 7-8 წლის ბავშვები სტადიონის კუთხეებში არიან ჩაცუცქული, ბოთლები უკავიათ და რაღაც უბედურებას ეწევიან.

პირველი გიმნაზიის სკოლაში უფროსკლასელები პატარა ბავშვებზე თავისუფლად ყიდიან მოსაწევს. ამის შესახებ სოციალურ ქსელში მშობლები წერდნენ.

ათასი ჭირი სჭირს ამ ქვეყანას, მაგრამ ყველაზე საშიში მაინც ქოცების აქტივისტი ქალები არიან. ქოცების კოორდინატორ ქალებთან შედარებით, ყველაზე დაუნდობელი ტერორისტიც კი ანგელოზია.

– რას ჩადიან ამას?

– ადამიანებს სახლში უცვივდებიან და პირდაპირ ემუქრებიან, თუ ხმას არ მოგვცემთ, ამას და ამას გვიზამთო. ასე აშინებდნენ ხალხს, რომ იმ ტუტუცი ქალისთვის ხმა მიეცა, რომელიც, თავის მხრივ, მზად არის, კანაფის პლანტაციების სარეკლამო სახე გახდეს.

მის მხარდამჭერ კლიპში ძირითადად ის ხალხი მონაწილეობდა, ვინც წამლის ბარიგობაზე ან მოხმარებაზე იყო გასამართლებული, მათ შორის ამ ხელისუფლების მიერ. მე არაფერს ვიგონებ, ეს ტიპები თავად ყვებიან შოუებში, მომხმარებლები ვართო.

ქუჩის გარჩევები და „პერესტრეკლები“ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, პოლიცია უკვე აღარ რეაგირებს – ჯიბეში აქვთ ხელები ჩაწყობილი და სეირს უყურებენ.

– გახარიამ თქვა, ვინც დააშავებს, ყველას ჩავაგდებო.

– ჩააგდებს არა ის. ეგ ერთი ჩვეულებრივი რუსული გამოთქმაა. რუსი ემისარი აბა სხვას რას იტყოდა. ახლა პუტინის მოვლენილს სალაპარაკოდაც აღარ აქვს დრო.

– რას აკეთებს ამისთანას?

– რას აკეთებს და დიდი ამბებია საქოცეთში. გახარია ახლა ცდილობს, ღრმა ნდობით აღიჭურვოს. პოლიციური სახელმწიფო ხომ შეგვიქმნა და ახლა სუსის გაკონტროლებასაც ცდილობს.

– სუსის გაკონტროლებას ივანიშვილის კურთხევით ცდილობს?

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ გომელაური ივანიშვილის ახლობელი არ იყო? ყველაზე მეტად მას ენდობოდა.

– ენდობოდა, მაგრამ დრო და სიტუაცია შეიცვალა. რუსი ოლიგარქი სუსის უფროსს უნდობლობას უცხადებს.

– რა დაუშავა ამისთანა?

– რა დაუშავა და არჩევნებზე სუსმა სათანადოდ არ იმუშავა.

– რას გულისხმობთ?

– ივანიშვილი თვლის, რომ სუსმა საარჩევნოდ ხალხი სათანადოდ ვერ დააშინა.

– აბა, ოპოზიცია რატომ ამტკიცებდით, ძალოვნებმა ხალხი დააშინესო?

– ხალხი დააშინა გახარიამ. სპეცოპერაცია, რომელსაც არჩევნები დაარქვეს, მან ჩაატარა.

– ასეთი დამშინებელია გახარია?

– არც ისეთი. ძირითადად სოციალურად დაუცველ ადამიანებს აშინებდნენ. იცით, როგორ? დღეში მათ კვებაზე 1.18 თეთრი რომ იხარჯება. გახარიას ხალხი მათ ეუბნებოდა, რომ თუ სალომეს არ მისცემდნენ ხმას, დახმარებას მოუხსნიდნენ. ადამიანების გაჭირვებას თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ ეს უნამუსოები.

– ეკონომიკის მინისტრს რომ ჰკითხო, საქართველოში გაჭირვება საერთოდ არ არის.

– ეგეც რუსეთიდან არის მოვლენილი. მოსკოვიდან ჩამოსულებს, ეტყობა, ასეთი დავალება აქვთ, რომ ან გაგვაგიჟონ, ან დაგვაშინონ.

– გახარია გვაშინებს, ხოლო ქობულია გვაგიჟებს?

– ყველას ვერ დააშინებენ. მე და ჩემს თანამოაზრეებს კართან თითო გახარია რომ დაგვიყენოს სატანა ივანიშვილმა, არ გვეშინია.

დამიჯერეთ, აურა, რომელიც დღეს ქვეყანაშია, კარგს არაფერს მოგვიტანს, სატანა მეფობს ივანიშვილის სახით ქვეყანაში და ვერაფერი შეაჩერებს აქ გამეფებულ ჯოჯოხეთურ სიბნელესა და ამ სიბნელეში გამეფებულ სიკვდილს, რომელიც ყველა ჩვენგანს გვიახლოვდება, ოღონდ, არავინ ვიცით, საიდან და როდის.

აი, რა წერია ბიბლიაში:

ეფესელთა 4:27 – ადგილი არ მისცეთ ეშმაკს; **2 კორინთელთა 2:11**– რათა ზიანი არ მოგვაყენოს სატანამ, ვინაიდან ჩვენთვის უცნობი არ არის მისი ზრახვები; **2 კორინთელთა 14:11** – თუმცა არ მიკვირს, რადგან თვით სატანაც ხომ ნათლის ანგელოზის სახეს ღებულობს; **1 პეტრეს 5:8** – იყავით მღვიძარენი, იფხიზლეთ, რადგან თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დაძრწის, როგორც მბრდღვინავი ლომი და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს; **1 იოანეს 3:10** – ამით შეიცნობიან ღვთის შვილნი და ეშმაკის შვილნი: ყოველი, ვინც სიმართლით არ იქცევა და ისიც, ვისაც თავისი ძმა არ უყვარს, ღვთისგან არ არის.

კიდევ ერთხელ გეუბნებით, ივანიშვილი არის სატანა. ის ათი მცნებიდან მხოლოდ ერთს ასრულებს – გიყვარდეს მტერი შენი.

– მტრის სიყვარულიც ხომ არ არის პატარა საქმე?

– ეგ შესაყვარებელ მტერში პუტინს გულისხმობს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გია არაბიძე: „გაზის აფეთქება ხმამაღალი დაცემინებითაც შეიძლება მოხდეს“

ლელა მდივანი

ბოლო სამი წლის განმავლობაში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად, ჯამში, 86 ადამიანი გარდაიცვალა, CO-თი მოწამვლის ფაქტებმა კი 300-სს მიაღწია.

„ყაზტრანსგაზ თბილისის“ სტატისტიკის მიხედვით, 2018 წელს თბილისში CO-თი მოწამვლის – 98 და გარდაცვალების 27 ფაქტი დაფიქსირდა, 2017 წელს, მოწამვლის – 62 და გარდაცვალების 30 ფაქტი, ხოლო 2016 წელს CO-თი მოწამვლის 125 ფაქტი დაფიქსირდა, CO-თი გაჟონვის შედეგად კი 29 ადამიანი გარდაიცვალა.

ერთ-ერთი ტრაგიკული შემთხვევა 16 იანვარს მოხდა. დიდ დიღომში გაზის გაჟონვის შედეგად საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი სართული აფეთქდა, რამაც 4 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის იყო მცირეწლოვანი ბავშვიც.

ენერგეტიკოსი გია არაბიძე „ახალ თაობასთან“ დიდ დიღომში მომხდარი აფეთქების სავარაუდო ვერსიებს ასახელებს და იმ რეკომენდაციებზე საუბრობს, რომლებიც მსგავსი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად მოსახლეობამ უნდა გაითვალისწინოს.

გია არაბიძე:

– დიდ დიღომში აფეთქება მოხდა გაზის კონცენტრაციის ზრდით დახურულ სივრცეში, სადაც კონცენტრაციამ მიაღწია დაახლოებით 9%-ის ფარგლებს. სწორედ ამ დროს არის აფეთქების საშიშროება, ხოლო ზუსტი მიზეზი, თუ რატომ მოხდა გაზის გაჟონვა, ამას კვლევა სჭირდება. გაზის გაჟონვის სხვადასხვა ვარიანტი შეიძლება არსებობდეს. იმ სახლში როგორ იყო გაზის ხელსაწყოების განლაგება და რა ხელსაწყოები იყო დადგმული. გაზი შეიძლება დაგროვდეს მაშინაც, თუ დავუშვათ გაზის ხელსაწყოებიდან ხდება გაზის გაპარვა. ეს წყარო შეიძლება იყოს გაზქურა, სადაც სადილს ხარშავთ ან ჩაის რომ ადუღებთ, უცებ გადმოდის ჩაი, აქრობს გაზს და, ვთქვათ, არ მიაქცია ყურადღება დიასახლისმა და დაიწყო გაზმა ჟონვა. ასეც გროვდება. მსგავსი უამრავი ვარიანტი შეიძლება იყოს, ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ მოხდა ზუსტად გაჟონვა. არ არის გამორიცხული, მილსადენიდანაც მომხდარიყო, რომელიც სამზარეულოში შემოდის, იმას ჰქონოდა რაღაც პრობლემა. რამ გამოიწვია დაგროვება, კვლევის საგანია, თუმცა ფაქტია, რომ მოხდა ისეთი კონცენტრაციის დაგროვება, რომელმაც საბოლოოდ აფეთქება გამოიწვია.

– შემთხვევის ადგილზე „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წარმომადგენლები იყვნენ მისული, თუმცა აფეთქების საფრთხე ვერ დაინახეს. შესაძლებელია, ისინი გაუმართავი ხელსაწყოებით მუშაობდნენ და ეს გამხდარიყო ჰაერში გაზის კონცენტრაციის დაუდგენლობის მიზეზი? ვინმე უწევს ამას მონიტორინგს?

– „ყაზტრანსგაზის“ ჯგუფი, რომელიც იქ მივიდა, იმ ინფორმაციით, რომელიც ტელევიზიით გაჟღერდა, ვერაფერი ნახეს და ხალხი დაამშვიდეს, რომ არაფერი ხდებოდა. ჩემთვის ეს ფაქტი ცოტა გაუგებარია, რადგან „ყაზტრანსგაზში“ არ არიან ისეთი არაპროფესიონალები, რომ თუ მოსახლემ გაზის სუნი იგრძნო და გამოიძახა და არაფერიც არ არისო, მათ ეთქვათ. ჩემთვის გაუგებარია, რა წერტილში და სად მივიდნენ. თუ ისინი აჰყვნენ შახტას, კიბეებს, სადაც გაზის სუნი იყო, მაშინ მათ უნდა მიეკვლიათ იმ წერტილისთვის, საიდანაც გაზის სუნი ვრცელდებოდა და, როგორც ტელევიზიით ვნახე, ეს მოხდა მეექვსე სართულზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტებმა შეამოწმეს ღია გამანაწილებელი პუნქტი, სადაც ხდება წნევის დავარდნა და სადაც ყოველთვის არის სუნი, სხვა ამბავია. არ ვიცი, როგორ შეამოწმეს, გაუგებარია, არადა, ძალიან მიკვირს. ორი ძალიან მძიმე საკითხი იკვეთება. პირველი ის, რომ იქ მივიდნენ პროფესიონალები, კომპანიის წარმომადგენლები და მათ ვერ ნახეს და არ ჩათვალეს საჭიროდ, უფრო ძირეული კვლევა-ძიება დაეწყოთ და მეორე, რაც ჩემთვის ასევე გასაოცარია და გარკვევას საჭიროებს, თუ მოსახლეობამ და კოოპერატივის თავმჯდომარემ შეამჩნიეს გაზის სუნი და გამოიძახეს სპეციალისტები, თვითონ ამ მეექვსე სართულზე მცხოვრებმა პირებმა რატომ ვერ შენიშნეს და იგრძნეს იმ გაზის სუნი, რამაც ასეთი უბედურება დაატრიალა?! გაუგებარია ჩემთვის.

– როგორ უნდა მოვიქცეთ მსგავსი საფრთხის ასარიდებლად, თუკი ბინაში გაზის სუნს ვიგრძნობთ? რა შეგვიძლია გავაკეთოთ „პირველადი დახმარებისთვის“?

– წესად უნდა გვქონდეს, რომ ნებისმიერმა ჩვენგანმა, თუ გაზის ხელსაწყო მინიმუმ 1 საათი გვაქვს ჩართული, აუცილებლად 1 საათის მუშაობის შემდგომ უნდა გავანიავოთ ის ოთახი. ეს არ არის რთული ამბავი. მეორე, თუ ოდნავ ვიგრძენით სახლში გაზის სუნი, ვრეკავთ შესაბამის სამსახურში. ბუნებრივია, იტყვით, ახლაც კი გამოიძახეს, მაგრამ რა გამოვიდაო, მაგრამ ეს არ არის ისეთი შემთხვევა, რომ საყოველთაო გახდეს. ჩვენ თავად შეგვიძლია, მრიცხველის გვერდზე არის სარქველი, რომელიც ონკანივით არის. ეს ონკანი უნდა გადაკეტოთ, რითიც შეწყდება გაზის მიწოდება. ეს იქამდე, სანამ მოვლენ სპეციალისტები. მანამდე, რასაკვირველია, უნდა გამოვიძახოთ შესაბამისი სამსახურის სპეციალისტები, რომ დაადგინონ მიზეზი, რატომ და საიდან ხდება გაჟონვა. ეს მეორე ვარიანტი. მესამე ვარიანტი არის ის, რომ დეტექტორები იყიდონ. არ არის ძვირი, 6 დოლარიდან იწყება და, ბუნებრივია, ფასები ზემოთაც ადის, მაგრამ საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის 6-დოლარიანი სრულიად საკმარისია, რომელიც მაძლევს საშუალებას, ვიზუალითა და ხმით დავადგინო, რა პრობლემა მაქვს სახლში, იმიტომ რომ არსებობს ხალხი, რომელსაც ყნოსვა არ აქვს საერთოდ და დეტექტორით მარტივად მიხვდებიან.

– ამ ხელსაწყოს ნდობა შეიძლება? იქნებ რომელიმე უხარისხო აღმოჩნდეს და ცრუ განგაში გამოიწვიოს?

– გააჩნია, ვისი გამოშვებულია. ბევრი ხალხი რომ ცხოვრობს, აი, იმ ქვეყნიდან ჩამოტანილი დეტექტორები დაამონტაჟეს, მოიტანეს, მაგრამ ცრუ განგაშები იყო ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მერე მოვკიდეთ ხელი და მოვისროლეთ ფანჯრიდან. ჩემი ცრუ განგაშს არ იძლევა, განგაშამდე არ მივიყვან მე საქმეს, იმიტომ რომ ვიცი, ამ დროს რა უნდა გავაკეთო და როგორ. აქედან გამომდინარე, ხარისხი იმ ხელსაწყოსი, რომელთანაც გვაქვს ურთიერთობა და რომელსაც საქმეს ვუკავშირებთ, ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლავთ.

– შესაბამისი რეგულაცია არსებობს, რომ მსგავსი დეტექტორების დაყენება ბინებში სავალდებულო იყოს?

– სამშენებლო კოდექსით ეს უკვე გათვალისწინებულია, რომ ახალ ბინებში, სადაც გაზი შეყვანილია, გაზის დეტექტორები დამონტაჟებული უნდა იყოს.

– მაგალითად, თუ ბუნებრივი აირი უკვე არის ჭარბი რაოდენობით დაგროვილი დახურულ სივრცეში, მხოლოდ ცეცხლის გახსნით შეიძლება მოხდეს აფეთქება თუ სხვა გარემო ფაქტორებითაც?

– თუ გაზის კონცენტრაცია დახშულ გარემოში 9%-ის ფარგლებშია, ეს არის უკვე გამზადებული ნარევი იმისათვის, რომ აფეთქება მოხდეს. აფეთქება კი შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა გარე ზემოქმედებამ. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს: ზარის დარეკვა, ნათურის ანთება, ხმამაღალი დაცემინება, შახტაში ლიფტის მოძრაობა, ყველაფერი ის, რაც ბგერას გამოსცემს. ბგერა ხომ ჰაერში ტალღების მოძრაობით გაისმება და ეს უკვე საკმარისი ნაპერწკალი და ქმედება იქნება იმისათვის, რომ აფეთქების პროცესი მოხდეს, ხოლო გარკვეულ კონცენტრაციაზე, ზემოქმედება არც უნდა, თავისითაც ფეთქდება.

– ზოგადად, გაზის როგორი გაყვანილობაა უსაფრთხო?

– მთავარია, ხარისხობრივად როგორ გაიყვან მილებს. ონკანის შეცვლაც არ არის პრობლემა, მაგრამ, შეიძლება, ისე უხარისხოდ შეცვალო, პრობლემა შეიქმნას. ამიტომ, თუ გაკეთდება წესების, კანონებისა და ექსპლუატაციის ნორმების გათვალისწინებით, აბსოლუტურად არ არის საშიში არც პლასტმასის მილი და არც გაზის ხელსაწყოები. მთავარია, დავიცვათ მომსახურების წესები.

„დიდი დიღმის ტრაგედია ბოლომდე თუ არ გამოვიძიეთ, მორიგი აფეთქება მოხდება“

ლევან ხაბეიშვილი: „ადამიანების სიცოცხლე ვიღაცების ბიზნესინტერესებს ეწირება“

შორენა მარსაგიშვილი

დიდ დიღომში მომხდარ ტრაგედიაზე, რომელსაც 4 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, პასუხისმგებლობას არავინ იღებს. თბილისის მერია, „ყაზტრანსგაზი“ და სამშენებლო კომპანია ერთმანეთისკენ იშვერენ ხელს.

თბილისის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი ლევან ხაბეიშვილი ფიქრობს, რომ ეს ტრაგედია უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ტრაგედია ქვეყანაში კიდევ მოხდება.

ვინ არის ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი, რა აკავშირებს „ყაზტრანსგაზთან“ თბილისის მერს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– ის, რაც დიდ დიღომში მოხდა, არის უდიდესი ტრაგედია და, თუ ამ საქმეს ბოლომდე არ მივყევით, მსგავსი ტრაგედიები შეიძლება კიდევ განმეორდეს. სულ ახლახან აფეთქდა ფონიჭალაში კორპუსი, რომელსაც დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა. ეს აფეთქებაც გაზის გაჟონვამ გამოიწვია. ყველას ეგონა, რომ ამის შემდეგ სურათი შეიცვლებოდა, მაგრამ უარესი შედეგი მივიღეთ.

კვირა ისე არ გავა, გაზით რამდენიმე ადამიანი არ მოიწამლოს. 16 იანვარს კორპუსი აფეთქდა და 4 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. იმისთვის, რომ მსგავსი ტრაგედიები თავიდან ავიცილოთ, საჭიროა, მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ყველა ასეთ შემთხვევას.

საკრებულოს ოპოზიციამ უკვე დავიბარეთ 21 იანვარს ზედამხედველობის სამსახურის უფროსი და მისგან გვინდა პასუხების მოსმენა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავარკვიოთ, ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი.

– თქვენი აზრით, ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა? მერიაც, „ყაზტრანსგაზიც“ და სამშენებლო კომპანია მომხდარზე პასუხისმგებლობას არ გრძნობენ.

– მოდით, დავიწყოთ იმით, რომ ეს კორპუსი ექსპლუატაციაში არ იყო შესული და ისე ცხოვრობდა იქ ხალხი. რატომ არ იყო კორპუსი ექსპლუატაციაში შესული? იმიტომ, რომ რაღაც ხარვეზებს ჰქონდა ადგილი.

ამის მიუხედავად, მთელი კორპუსი დატვირთული იყო. იქ ადამიანები ცხოვრობდნენ, გაზიც შეყვანილი ჰქონდათ, წყალიც და სინათლეც.

ყველამ ვიცით, რომ ტრაგედიამდე რამდენიმე საათით ადრე ამ კორპუსში ნამდვილი პანიკა იყო. იქ მცხოვრებლებმა გაზის სუნი იგრძნეს, გამოიძახეს „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომლები, მიუთითეს სადარბაზო, სართული და ბინაც კი, საიდანაც გაზის შემაწუხებელი სუნი გამოდიოდა.

„ყაზტრანსგაზის“ თანამშრომლებმა შეამოწმეს კორპუსი, საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს და წავიდნენ. ხალხი დამშვიდდა, სახლებში შევიდნენ და აფეთქებაც მოხდა.

– პასუხისმგებლობას „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომლებს აკისრებთ?

– გამოძიების დასრულებამდე არავის ვაკისრებ პასუხისმგებლობას. მე იმ პოლიტიკის წინააღმდეგი ვარ, რომელიც ამ კომპანიაშია. ხელისუფლებაში „ოცნებაში“ მოსვლის შემდეგ „ყაზტრანსგაზიდან“ პროფესიონალები გაყარეს და მათ ადგილებზე თავიანთი აქტივისტები დაასაქმეს. შედეგიც სახეზეა, ყოველდღე რაღაც უბედურება ხდება.

დიდ დიღომში პროფესიონალები რომ წასულიყვნენ, მარტივად აღმოაჩენდნენ, საიდან გამოდიოდა გაზის სუნი. იქაურობას ცხვირით კი არ დაყნოსავდნენ, არამედ სპეციალურ აპარატურას გამოიყენებდნენ. მოსახლეობამ მათ ისედაც მიუთითა, რომელი ბინიდან გამოდიოდა გაზის სუნი.

ბინა რომ დადგენილი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მეზობლებმა მის პატრონსაც დაურეკეს, გაზის სუნი გამოდისო. მან თავისი ნაცნობი გააგზავნა, ნახე, რა ხდებაო. ის ადამიანი შევიდა, შუქი აანთო და აფეთქება მოხდა.

მის ნაცვლად პროფესიონალები რომ შესულიყვნენ, შუქს არ აანთებდნენ, გაანიავებდნენ სახლს, დაზიანების კერას იპოვიდნენ და არც ეს ტრაგედია მოხდებოდა.

„ყაზტრანსგაზი“ ჩვენი მოსახლეობიდან მილიონებს იღებს. კეთილი ინებონ და საქმეს პროფესიონალურად მიუდგნენ.

რაც არ უნდა ეცადონ „ყაზტრანსგაზი“ და მერია, პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან.

მინდა, ყველამ იცოდეს, რომ თბილისელებს „ყაზტრანსგაზი“ არ აურჩევიათ. თბილისელებმა აირჩიეს მერი.

მერმაც და სხვა ჩინოსნებმაც უნდა გაითავისონ, რომ ადამიანის სიცოცხლეს ასე მარტივად არ უნდა უყურებდეს სახელმწიფო, სანამ ექსპლუატაციაში არ შევა კორპუსი, წარმოუდგენელია, სხვა სამუშაოები გაწერო. როცა პრობლემა აქვს კორპუსს და ამიტომ არ შედის ექსპლუატაციაში, გაზი რატომ უნდა იყოს იქ?

ბიზნესინტერესებს ეწირება ნამდვილად, „ყაზტრანსგაზი“ ერთ წუთს არ გაპატიებთ, თუ არ გადაიხდით. თუმცა, როცა მოქალაქეები ამბობენ, რომ შეტყობინება შევიდა, მოდის „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომელი და ამბობს, ნუ პანიკობთ, არაფერიაო, შემდეგ მიდის და ასეთი ტრაგედია ხდება – სერიოზული პრობლემაა.

მათ შორის სახელმწიფოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია, ყველამ კარგად ვიცით „ყაზტრანსგაზთან“ დაკავშირებით, რომ მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, მთელი მენეჯმენტი გადაიბარა კახი კალაძემ. ვიღაცები მილიონებს შოულობენ, შემდეგ ადამიანის სიცოცხლეს ექმნება საფრთხე და ამაზე მხრებს იჩეჩენ, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

სწორი არც ის იყო, თბილისში გრიპის ეპიდემია რომ მძვინვარებდა და კალაძე შვეიცარიაში ისვენებდა.

ჩვენ ამ საკითხის ასე დატოვებას არ ვაპირებთ. როგორც უკვე გითხარით, ეს საქმე ბოლომდე თუ არ მივიყვანეთ, ხვალ ახალი ტრაგედია მოხდება.

ლევან ჩაჩუა: „გაზის გაჟონვის შედეგად ადამიანების მასობრივად დაღუპვა არასწორი კანონმდებლობის ბრალია“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ქვეყანაში არსებულ რამდენიმე პრობლემაზე ესაუბრა „ქართული იდეის“ ლიდერ **ლევან ჩაჩუას**

– თბილისსა და გორში საცხოვრებელ ბინებში გაზის გაჟონვისა და აფეთქების შედეგად ისევ დაღუპნენ ჩვენი მოქალაქეები. აქედან გამოსავალი რა უნდა იყოს?

– პირველ რიგში, ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს. მსოფლიოში ასეთი შემთხვევები ხდება, მაგრამ – ძალიან იშვიათად. ფაქტობრივად, ყველგან მოწესრიგებულია სიტუაცია. თბილისში მობინადრეებმა გაზის სუნი იგრძნეს, გამოიძახეს გაზის შესაბამისი კომპანიის თანამშრომლები. ისინი ადგილზე მივიდნენ და საგანგაშო ვერაფერი ნახეს. რასაკვირველია, მათ და ამ კომპანიას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. ასეთი შემთხვევები არც ისე იშვიათია. გაზის გაჟონვის შედეგად ადამიანების მასობრივად დაღუპვა არასწორი კანონმდებლობის ბრალია. კანონმა უნდა განსაზღვროს იმ პირების, უწყებებისა თუ კომპანიების პასუხისმგებლობა, რომლებსაც უბედურ შემთხვევებთან შეხება აქვთ. საუბედუროდ, ტრაგიკული შემთხვევები ხშირია მშენებლობებსა და მაღაროებში, ხალხის უზარმაზარი რაოდენობა იხოცება ავტოავარიებში. ესეც ცუდი კანონმდებლობის ბრალია. გრიპით, შიმშილითა და სიცივით გარდაცვალებას ემატება ეს ტრაგედიები, რაც ამცირებს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას. სახელმწიფო რომ სათანადო სიმაღლეზე იდგეს, ასეთი რამ ვერ მოხდებოდა.

– ზოგისთვის სახელმწიფოს სიმაღლეზე დგომა ძლიერი ხელია. საზოგადოებაში არსებობს განცდა, რომ „ქართული ოცნება“ მალე რეპრესიებს დაიწყებს.

– ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად დაიწყებს რეპრესიებს. ამ თემაზე წინასწარ ჯერ კიდევ 2014 და 2015 წლებში ვსაუბრობდი. მაშინ ამბობდნენ, „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის სისხლიან გზას არ დაადგებაო. ჩემი მოსაზრება ასეთი იყო – ბიძინა ივანიშვილს ჯერ რეპრესიები არ სჭირდება, როცა დასჭირდება, ის ამაზე უარს არ იტყვის. სააკაშვილმა საკუთარ ხალხს გადაუარა 2007 წლის 7 ნოემბერს და 2011 წლის 26 მაისს. მაშინ ძალოვნების დამფინანსებელი ბიძინა ივანიშვილი იყო. მან შეაიარაღა სპეცრაზმები, აღჭურვა ისინი ცრემლსადენი და მხუთავი აირებით. ამ შეიარაღებით გვისწორდებოდნენ ყველას, ვინც ხმას ამოვიღებდით. ის გამხეცებული სპეცრაზმელები ისევ ძველ სამსახურში არიან და ბიძინა ივანიშვილის ბრძანებას ელოდებიან. საკმაოდ ხისტ განცხადებებს აკეთებს შს მინისტრი გახარიაც.

– გაბედავს „ოცნების“ მამამთავარი ხალხზე ხელის აღმართვას? ვის წინააღმდეგ უნდა დარაზმოს სპეცრაზმელები?

– მასობრივი აქციები გარდაუვალია. სოციალური ფონი გაუსაძლისია. ჩვენ შიმშილით ბევრი ადამიანი გვეღუპება. ამაზე არავინ ლაპარაკობს. დასაქმებული ხალხის დიდი ნაწილი იღებს ძალიან დაბალ ხელფასს. ხალხს „ქართულმა ოცნებამ“ ახალი ბეგარა დაადო – საეჭვო დაგროვებითი პენსიისთვის პროცენტებს აჭრიან იმათაც, ვისაც უფლება აქვს, რომ ამაზე უარი თქვას. საზოგადოება ამის გამოც აღშფოთებულია. უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება. სოციალური მდგომარეობის გაუარესებას მოჰყვა კრიმინალის გაფურჩქნა. განგსტერული გარჩევები და სროლა უკვე დღისით ხდება. მომავალში დიდი გამოსვლებია მოსალოდნელი. ჯერჯერობით, ლოკალური საპროტესტო აქციები გრძელდება.

– ეს აქციებიც შეჩერებულია.

– არ არის შეჩერებული. ცოტა ხნის წინ რამდენიმე სხვადასხვა აქცია იყო. მათ შორის, ჩვენი წევრებიც სხვებთან ერთად ვიდექით იუსტიციის სახლთან და სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გასხვისებას ვეწინააღმდეგებოდით. 28 იანვარს, 12 საათზე „ქართული იდეა“ პარლამენტთან ვაწყობთ მიტინგს.

– რა მოთხოვნით?

– უცხოელი მიგრანტების ტალღების შეჩერების მოთხოვნით. საქართველო შეუერთდა მაროკოს პაქტს მიგრანტების შესახებ. ეს დოკუმენტი ხელმომწერ ქვეყნებს ავალდებულებს, მიიღოს ლტოლვილები აზიიდან და აფრიკიდან. ხელისუფლებას არ გამოუვიდა ფულის შოვნა უცხოელებზე მიწების გაყიდვით და უნდა, მიგრანტებით იხეიროს.

– უცხოელების საშუალებით ფული კეთდება მათთვის ბინების მიყიდვით. ამის სანაცვლოდ ისინი იღებენ ბინადრობის მონწმობებს.

– საუბედუროდ, ასეა. ამის წინააღმდეგ დიმიტრი ლორთქიფანიძემ და ზვიად ტომარაძემ პარლამენტში შეიტანეს ამ ნორმის ამკრძალავი კანონპროექტი. პარლამენტის კომიტეტები მას გაეცნენ, მაგრამ ისინი გადაწყვეტილებას არ იღებენ. დეპუტატებს არ უნდათ, იმ პარლამენტარებს აწყენინონ, რომლებიც ამით დიდ ფულს შოულობენ.

– იქნებ მაროკოს პაქტის საკითხში გაიზიარონ ხალხის რჩეულებმა საზოგადოების მოთხოვნა?

– არ არის გამორიცხული. ჩვენ ჩვენი საკუთარი დევნილები გვყავს. სხვა ქვეყნების ლტოლვილებს საქართველოსნაირი ღარიბი ქვეყანა ვერ აიტანს. იუსტიციის სახლთან ჩვენმა პროტესტმა შედეგი მოიტანა. შეიძლება, მომავალმა აქციამაც მოიტანოს წარმატება. მიწის გაყიდვაზე მორატორიუმის მოხსნით ერთი კვირის განმავლობაში დაგეგმილი იყო დაახლოებით 25.000 ჰექტარი მიწის უცხოელებზე გასხვისება. არსებობდა 2.500 უცხოელის მოთხოვნა. თითოეულს საშუალოდ 10 ჰექტრის შეძენა უნდოდა. განაცხადებს გავლილი ჰქონდათ პროცედურები. დარჩენილი იყო რეგისტრაცია. ჩვენ ეს არ დავუშვით. ამ საკითხში ჩვენი პოზიცია დაიჭირა პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატთა ნაწილმა. დეპუტატების სხვა ნაწილს ამით ხელის მოთბობა უნდოდა.

– უთანხმოება უმრავლესობაში ამითაც გამოჩნდა?

– უთანხმოება გარეთ გამოვიდა. აზრთა სხვადასხვაობა „ქართულ ოცნებაში“ ყოველთვის არსებობდა. ბოლო დროს შიდა რყევები გამოიწვია იმანაც, რომ ბიძინა ივანიშვილმა ძველ გვარდიას ნორჩი ბიძინელები, იგივე ნორჩი სოროსელები არჩია.

– ბევრი ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი მათაც ზურგს აქცევს.

– ძალიანაც უნდა, რომ ესენიც მოისროლოს, მაგრამ არ გამოსდის.

– რატომ?

– დავალება აქვს მიღებული იმ ძალებისაგან, რომლებიც ადრე სააკაშვილს მართავდნენ. ახლა ეს ძალები ივანიშვილს აკონტროლებენ. კოაბიტაციაც მათი დავალებაა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ჩაჩოჩა ის ხალხი, რომელიც 2012 წლამდე თავგამოდებით ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს და გვერდით დაიყენა ნორჩი თაობა, რომელიც ივანიშვილს ყველაფერში ეთანხმება და ნაცმოძრაობასთანაც კარგად არის.

ნაზი ჯანეზაშვილი: „მადლობა მეთოფიშვილს, რომ თავისი პოსტებით საზოგადოებას თავი ასე დაანახა“

„უზენაესის კანდიდატების ბიოგრაფიები და კავშირები დეტალურად უნდა შევისწავლოთ“

იაგო ნაცვლიშვილი

უზენაესი მოსამართლეების არჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით „ევროპულმა საქართველომ“ პარლამენტში საკანონმდებლო პაკეტი წარადგინა. იქამდე პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა ამ თემაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებმა ნაზი ჯანეზაშვილმა და ანა დოლიძემაც წარადგინეს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამარ ჩუგოშვილი გამოდის იდეით, რომ უზენაეს სასამართლოში მოსამართლეებად არჩევის შესაძლებლობა არა მხოლოდ მოსამართლეებს, არამედ სხვა კვალიფიციურ იურისტებსაც ჰქონდეთ, იქნებიან ისინი აკადემიური წრეებიდან თუ სხვა.

აღნიშნულ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრი **ნაზი ჯანეზაშვილი** საუბრობს.

– შეხვედრა გქონდათ „ევროპულ საქართველოსთან“. უფრო დეტალურ ინფორმაციას მიიღებდით მათ საინიციატივო პაკეტზე. როგორ აფასებთ მათ მიერ წარმოდგენილ პაკეტს?

– ერთი რამე არის ცხადი. ვთანხმდებით იმაზე, რომ პრობლემა, რომელიც არსებობს უზენაესი სასამართლოს კანდიდატურების თაობაზე, უნდა მოგვარდეს. პროცესი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე. მასში ჩართვის შესაძლებლობა სხვადახვა მხარეებს უნდა ჰქონდეთ. მაგალითად, კონკურსის ჩატარება იქნება თუ დასახელება, ეს უნდა იყოს ღია პროცესი.

ასევე ვთანხმდებით არამოსამართლე წევრების თემაზე. დღეს არამოსამართლე წევრებს არანაირი ფუნქცია არ გააჩნიათ, რადგან გადაწყვეტილებას იღებს უმრავლესობა. ასევე ძირითად პრინციპებთან მიმართებით, რომელიც ეხება ინტერესთა კონფლიქტის საკითხს. ეს ჩვენ მიერ დაწყებული საკითხია. ჩვენ დავიწყეთ ამაზე საუბარი. ჩვენ ვთქვით პირველად, რომ საბჭოს წევრები არ მონაწილეობდნენ ამ პროცესში, დასახელებული არ ყოფილიყვნენ კანდიდატურებად იუსტიციის საბჭოს წევრები.

არამოსამართლე წევრების როლის გაზრდასთან დაკავშირებით მათ განსხვავებული რეგულაცია შემოგვთავაზეს, რომელიც ჩვენთვისაც მისაღებია, თუ მას პარლამენტი მხარს დაუჭერს.

– რას გულისხმობს მათი განსხვავებული ხედვა ამ საკითხზე?

– მათ თქვეს, რომ არამოსამართლე წევრის მიერ დასახელებულ კანდიდატსაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, პარლამენტში კენჭისყრაზე გავიდეს. შემდეგ უკვე პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, დაუჭერს თუ არა მას მხარს.

ახლა საბჭო გადაწყვეტილებებს უმრავლესობით იღებს და მხოლოდ მის მიერ შერჩეული კანდიდატები წარედგინება პარლამენტს. თუ ასეთი სისტემა შემოვა, მაშინ ასეთ კანდიდატებს თუ ერთი მხარდაჭერა მაინც აქვთ, მაშინ შესაძლებლობა ექნებათ, კანდიდატად იყვნენ წარდგენილი. ძალიან კარგი მოსაზრებაა. ვნახოთ, თუ დაუჭერენ ამას მხარს და როგორ შეცვლის ეს ფაქტობრივ ვითარებას.

– ბრძანეთ, რომ არამოსამართლე წევრების როლი უნდა გაიზარდოს იუსტიციის საბჭოში. რას გულისხმობთ როლის გაზრდაში?

– ამ ნაწილში ვგულისხმობდი, რომ იუსტიციის საბჭო გადაწყვეტილებას უმრავლესობით იღებს – ვის დაუჭერს და ვის არა მხარს. ამ პროცესში ჩვენი ხმა არ ისმის. რეალურად ჩვენი პოზიცია არ არის ხოლმე გათვალისწინებული, რადგან, საბოლოო ჯამში, ისინი იმას აკეთებენ, რაც თვითონ უნდათ ან სწორად მიაჩნიათ.

რადგან საკითხი ნომინირებას ეხება და ეს არ არის საბოლოო გადაწყვეტილება, კარგი იქნება, რომ ამ ფორმით მაინც წავიდეს პარლამენტში და თუნდაც ერთი ხმა მიიღოს რომელიმე კანდიდატმა, დასახელებულად ჩაითვალოს.

– უმრავლესობის დეპუტატმა თამარ ჩუგოშვილმა გააჟღერა იდეა, რომ მოსამართლეებად არჩევის უფლება იმ პირებსაც უნდა მიეცეთ, რომლებიც დღეს მოსამართლეები არ არიან. როგორ უყურებთ ამ საკითხს?

– როდესაც დავიწყე ამ თემებზე საუბარი, პირველი ეს ვთქვი, რომ კარი უნდა გავუღოთ ღირსეულ კანდიდატებს. აუცილებელია, ეს შესაძლებლობა გამოვიყენოთ, რათა უზენაეს სასამართლოში ღირსეული კადრები შემოვიდნენ გარედან, იყვნენ მოქმედი მოსამართლეებიც, ამის პრობლემა არ არის, მაგრამ ორიენტაცია უნდა ავიღოთ იმაზე, რომ დაკომპლექტდეს ახალი კადრებით.

უმრავლესობა სასამართლოებისა ქვედა ინსტანციებში დაკომპლექტებულია უვადოდ. ახლა კი საჭიროა ახალი სახეები. თამარ ჩუგოშვილის ამ იდეას ვიზიარებ და ამაზე საუბარი დიდი ხანია, დაწყებული მაქვს.

– კარგია, როდესაც ცალკეულმა დეპუტატებმა დაიწყეს ამაზე საუბარი, მაგრამ, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, რომ დღევანდელი პარლამენტი ამას გაიზიარებს და მხარს დაუჭერს?

– ის, რომ პარლამენტმა კენჭისყრაზე არ გაიტანა ეს სია, უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ პროცესები, შესაძლოა, უფრო ჯანსაღად განვითარდეს. ვგულისხმობ იმას, რომ კლანს არ ჰქონდეს უპირობო მხარდაჭერა და არ მოიპოვოს კიდევ ერთი გამარჯვება.

არ უნდა მოვტყუვდეთ, რომ ვინმე შემოგვაპარონ სიაში მიქაუტაძეებმა და გვრიტიშვილებმა. ამიტომ ახლა უკვე ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ მოვახდინოთ იმ ადამიანების იდენტიფიცირება, რათა ნამდვილად ღირსეული ადამიანები მოხვდნენ უზენაეს სასამართლოში. ეს არის მთავარი საკითხი.

– ანუ მათი ბიოგრაფიები დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი?

– რა თქმა უნდა. მათი ბიოგრაფიები დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი, მათი კავშირებიც კი. ეს არის მთავარი და ამაში პარლამენტმა აქტიური როლი უნდა შეასრულოს.

– თქვენც წარადგინეთ საკანონმდებლო წინადადება პარლამენტში, გქონდათ შეხვედრები სხვადასხვა წრესთან. უმრავლესობასთანაც ხომ არ გქონიათ და რა პოზიცია აქვთ მათ? ფოფხაძემ თქვა, რომ საინტერესო იდეებია და ყველა ინიციატივიდან საუკეთესოს ამოკრება უნდა მოხდეს.

– მეც ვფიქრობ, შეჯერება აუცილებელია იმისთვის, რომ ჯანსაღი პროცესები განვითარდეს.

ჩვენ დავიწყეთ საუბარი. იქამდე არაფერი მინახავს. პირველად ჩვენ წარვადგინეთ. რა თქმა უნდა, თუ უკეთესი ვერსიები იქნება იმისათვის, რომ ეს ხარვეზები აღმოიფხვრას, მზად ვართ თანამშრომლობისთვის ნებისმიერ მხარესთან, ნებისმიერ ადამიანთან და ნებისმიერ ორგანიზაციასთან.

– იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრების სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული პოსტები პროცესს ხელს ხომ არ უშლის?

– არა. პირიქით. მე ვფიქრობ, რომ ხელს უწყობს. მოსამართლეებთან დაკავშირებული საკითხი იქნება თუ ნებისმიერი სხვა, ეს ადამიანები ისხდნენ საბჭოს სხდომაზე და იქ აკეთებდნენ იმავე ტიპის განცხადებებს, იმავე პოლიტიკის განმახორციელებელი პირები იყვნენ და იმავე ფორმატში მუშაობდნენ. კარგია, რომ ღიად დაიწყეს ამაზე საუბარი და ხალხმა გაიგო, ვისთან აქვს საქმე.

იმედი მაქვს, პარლამენტი ახლა უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდება გადაწყვეტილების მიღებას გადაწყვეტილებების დამტკიცებასთან დაკავშირებით. სერგო მეთოფიშვილს, გვრიტიშვილებსა და ვიღაცებს ვინც არ იცნობდა, ახლა ყველამ გაიცნო. ეს პროცესი კარგია, უფრო ყურადღებით იქნება პარლამენტი, როდესაც მიიღებს გადაწყვეტილებას მოსამართლეების შერჩევასთან დაკავშირებით.

ხედავენ, ვისთან აქვთ რეალურად საქმე და მადლობა სერგო მეთოფიშვილს, რომ თავი ასე დაანახა საზოგადოებას.

ლევან ალაფიშვილი: „ახლა ამომრჩეველსა და „ქართულ ოცნებას“ ერთმანეთთან ანგარიშები აქვთ გასასწორებელი“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ, მოსამართლეების ირგვლივ განვითარებული მოვლენების კულმინაცია რა შეიძლება იყოს? სახეცვლილად, მაგრამ ამ სიის გასვლას, მიუხედავად ყველაფრისა, გამორიცხავთ?

– ისე განვითარდა ეს პროცესი, რომ ეს უკვე აღარ არის ვიწროპარტიული. ეს ყველაფერი იმ პოტენციის მატარებელია, რომ მმართველი პარტია დაშლამდეც კი არის მისული. უნდა თუ არ უნდა „ქართულ ოცნებას“ ეს საკითხი უკვე არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის სფერო. შესაბამისად, მოვლენების განვითარება ახლა მხოლოდ პოლიტიკოსებზე, ვინც არ უნდა იყოს, არ არის დამოკიდებული.

ჯგუფი, რომელიც დღეს მართლმსაჯულების სისტემას მართავს და მმართველ პოლიტიკურ ძალასთან ლოიალურ განწყობებშია, არ ვფიქრობ, რომ დათმობაზე წავიდეს და საკუთარი ინტერესების გატარებას, ბოლომდე მიყვანას არ ეცადოს. ეს პოლიტიკური ლოიალობა ორმხრივია. შესაბამისად, ეს ჯგუფი და მათი მხარდამჭერები პარლამენტში ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ სია გავიდეს. თუმცა, ეს სია იქნება შენიღბული და საზოგადოებას, ასე ვთქვათ, მთლად წითელ ნაჭერს არ აუფრიალებენ. თუმცა, ის სახელ-გვარები, რომლებიც ამ სიაში წამყვანნი არიან, თავ-თავიანთ ადგილზე იქნებიან.

თუმცა, აქ ერთი მთავარი რამ იჩენს თავს: ამ ყველაფერში „ქართულ ოცნებას“ ძალიან ძვირის გადახდა მოუწევს. მე პოლიტიკურ ფასზე ვსაუბრობ.

– რამდენად ძვირი შეიძლება იყოს?

– ძალიან ძვირი. ვერ გეტყვით, რომ ამ პროცესის კულმინაცია მათი გამარჯვებით დასრულდეს საბოლოო ჯამში. ამ შემთხვევაში საუბარია პოლიტიკური ძალის გამარჯვებაზე. მე არ გამოვრიცხავ, რომ პროცესები უფრო გაღრმავდეს და გაზაფხულზე ბევრად უფრო დამძიმებული მდგომარეობა მივიღოთ. მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ ნელ-ნელა პოზიციები დათმოს როგორც ქვეყანაში, ისე პარტიაში.

ზოგადად სამართლიანობა, სამართლიანობის განცდის არარსებობა ქვეყანაში იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ არ ვფიქრობ, საზოგადოება, ხალხი დათმობაზე წავიდეს. თუკი აქამდე „ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველი მეორე შანსს აძლევდა, არა მგონია, ამ საკითხთან დაკავშირებით მეორე შანსი მისცეს. პროცესი უკვე ძალიან შორს არის წასული, საკმაო დროც არის გასული. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოვიდა. შესაბამისად, ეს ლოზუნგი, პოლიტიკური დაპირება, რატომაც ხალხმა მათ ხმა მისცა 2012 წელს თავისთავად არ გაჩენილა. დღეს უკვე აშკარაა, რომ ეს საკითხი უკმაყოფილებას იწვევს არა მხოლოდ ხალხში, მათ მხარდამჭერებში, არამედ თვით მმართველი პოლიტიკური გუნდის შიგნით. შესაბამისად, თუკი ამ ყველაფერს დავამატებთ იმას, რომ გაზაფხულზე რამდენიმე სერიოზული ადგილობრივი არჩევნები ელის ხელისუფლებას, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორი მძიმე პოლიტიკური გაზაფხული ელის ხელისუფლებას. თუ გონივრული ნაბიჯები არ გადადგა ხელისუფლებამ და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ მიიღო, შესაძლოა, მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ გაზაფხულზევე დაასრულოს პოლიტიკური არსებობა და 2020 წლამდე მიღწევა ურთულესი ამოცანა გახდეს.

– რამდენად იქნება მთაწმინდის მაჟორიტარული ოლქის არჩევნები ერთგვარი ტესტი ხელისუფლებისთვის, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში?

– რა თქმა უნდა იქნება! თუმცა, ჯერ „ქართული ოცნების“ პოზიცია, დაინტერესება მთაწმინდის მაჟორიტარული არჩევნების მიმართ თითქოს არ ჩანს. თუმცა, არა მხოლოდ მთაწმინდაზე, 6 მუნიციპალიტეტში, მსხვილ ქალაქებში ელოდება შუალედური არჩევნები „ოცნებას“. შესაბამისად, გამოცდა სერიოზულია.

ამომრჩეველი ახლა მოლოდინის რეჟიმშია, როგორი იქნება „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ რინგზე? შეეცდება კი, ასე მარტივად გაიფორმოს გამარჯვება თუ შეეგუება დამარცხებას?! ეს ძალიან საინტერესო საკითხია სწორედ დიდი არჩევნების კონტექსტში.

ჯერჯერობით ჩანს, მისი თითქოს გულგრილობიდან გამომდინარე, რომ არჩევნების წინ მმართველი ძალა ტემპერატურის დაგდებას შეეცდება. მე არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება „ოცნებამ“ ის თამაშიც ითამაშოს, რომელიც უკვე ითამაშა საპრეზიდენტო არჩევნებზე. ვგულისხმობ – ჩვენ არ გვაინტერესებს, მაგალითად, მთაწმინდის ოლქი, დაე, ოპოზიციამ წაიღოს, შემდეგ კი საკუთარი კანდიდატურა შემოაპარონ. თუმცა, ეს თამაში მათ პოლიტიკურ მდგომარეობას სულაც არ გააუმჯობესებს, რადგან ელექტორალურად ამომრჩეველი სწორედ „ქართული ოცნების“ მოლოდინშია. ახლა ამომრჩეველსა და მმართველ პოლიტიკურ ძალას ანგარიშები აქვთ ერთმანეთთან გასასწორებელი, უფრო სწორად, – ამომრჩეველს „ქართულ ოცნებასთან“. ეს პოლიტიკური პერიპეტიები წინ ელოდება „ოცნებას“.

ზაზა ხატიაშვილი: „წულუკიანი და პარლამენტი ქვეყანას ღუპავენ“

ნონა ცაბაძე

ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი **ზაზა ხატიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლო სისტემის ირგვლივ განვითარებულ პროცესებს აფასებს. როგორც უფლებადამცველი აცხადებს, მას არ სჯერა ეკა ბესელიას გულწრფელობის, რადგან ორი წლის წინ სწორედ მისი ხელშეწყობით გავიდა პარლამენტში ის კანონი, რომელმაც ეს შედეგი მოიტანა.



– ბატონო ზაზა, რა ხდება დღეს სასამართლო სისტემაში, რა შედეგზე საუბრობთ?

– მე არაერთხელ მითქვამს, რომ თეა წულუკიანი და სანდრო ბარამიძე ღუპავდნენ საქართველოს პარლამენტთან ერთად, რომლებსაც შეჰქონდათ კანონში ცვლილება და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის წარდგენის უფლებას, ნაცვლად პრეზიდენტისა, აძლევდნენ იმ იუსტიციის საბჭოს, რომელსაც კურირებდნენ მურუსიძე და ჩინჩალაძე. როდესაც ეს კანონი შევიდა პარლამენტში, მე მაშინვე ვთქვი, რომ ძალიან ძალე ჩინჩალაძე და მურუსიძე წარადგენენ საკუთარ თავს. ჩავატარე აქცია, ვყვიროდი, ვჩხუბობდი,
თეა წულუკიანის გაგდებას ვითხოვდი. სწორედ სანდრო ბარამიძემ და თეა წულუკიანმა წარადგინეს ეს საკანონმდებლო ინიციატივა მთავრობის სახელით, რომელსაც მხარი დაუჭირა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეკა ბესელიამ და ყველა იმ ე.წ. მეამბოხემ, რომლებიც თურმე შეშფოთდნენ, ეს რა ხდებაო. ამიტომ მე ეს ყველაფერი თამაში მგონია.

– რა გგონიათ თამაში?

– დათა თუთაშხიაში რომ არის ერთი მომენტი – მაინც მოგზავნილი მგონიხართ თქვენ, ქალბატონო, ლია ელიავას გმირს რომ ეუბნება დათა. მე ეს მგონია თამაში. ორი წლის წინ, როცა მე ვამბობდი, ხალხო, დავიღუპებით, თუ წულუკიანი-ბარამიძის ამ ინიციატივას დავამტკიცებთ-მეთქი, რატომ არაფერი თქვა მაშინ ბესელიამ, თავად არ დაუჭირა მხარი ამ ინიციატივას?!

– ანუ ბესელიას პროტესტი გგონიათ თამაში?

– ეკა ბესელიას პროტესტი უნდა გამოეთქვა ორი წლის წინ, როცა ეს ინიციატივა შემოდიოდა. ახლა რა აზრი აქვს?! თამაშია ეს და რაღაცის გადაფარვა. თუ პროტესტი უნდოდა, მე რომ ქუჩაში ვიდექი და ვაპროტესტებდი, მაშინ უნდა მოსულიყო და გვერდით დამდგომოდა. ეს ყველაფერი იყო გარიგება მურუსიძეს, ჩინჩალაძესა და ივანიშვილს შორის.

– რა გარიგება?

– ლევან მურუსიძე რამდენიმე დღის წინ დაინიშნა მუდმივ მოსამართლედ. როდესაც მოდიოდა ივანიშვილის ხელისუფლება, სწორედ იმ დროს მოვიგე საქმე სტრასბურში მიქიაშვილი-საქართველოს წინააღმდეგ და ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვამბობდი, რომ მურუსიძე უნდა იჯდეს საბრალდებო სკამზე. სწორედ იმ პერიოდში გამოხტა ბიძინა და ეს რა კაცი გავიცანიო, მურუსიძეზე თქვა. ერთი ამბავი ავტეხე, როდესაც მურუსიძე ხელმეორედ ინიშნებოდა იუსტიციის საბჭოში. იუსტიციის საბჭოში სამი წარმომადგენელი იჯდა პარლამენტის მხრიდან არჩეული: ევა გოცირიძე, რომელსაც ისე დაუფასეს, რომ, სავარაუდოდ, საკონსტიტუციოში გადაიყვანენ, სოფრომაძე და თორდია. ერთ-ერთს ხმა რომ არ მიეცა, ლევან მურუსიძე ვერ გავიდოდა! ვთქვათ, არ დაიჭირე მურუსიძე, არ გაადგე, მაგრამ, ვადა რომ გაუვიდა, ხელმეორედ რატომ ირჩევ?! სამივე მათგანმა მისცა ხმა.

– რაში სჭირდებოდა ივანიშვილს მურუსიძე?

– თავიდანვე ვიცოდი, რომ მურუსიძის დანიშვნა ნიშნავდა იმას, რომ ადმინისტრაციულ პალატაში ვერც ერთი საარჩევნო ხმა ვერ გადაითვლებოდა. კარგად გვახსოვს, ნინო ბურჯანაძე რომ წავიდა სასამართლოში, მას არც ერთი ხმა არ გადაუთვალეს. აი, რისთვის სჭირდებოდათ მურუსიძე და რა გარიგება შედგა მას და ივანიშვილს შორის. სწორედ ამის გამოძახილია ის, რაც ხდება.

– რა შეიცვალა დღეს, რატომ დაუპირისპირდა ამ საკითხს მაინცდამაინც ახლა ბესელია და არა ორი წლის წინ?

– შიდა სამზარეულო არ ვიცი. თუმცა ეს ყველაფერი თამაში მგონია. ამით ვნახეთ, როგორ მარტივად გადაიფარა გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნები. ყველა ამ სიაზე ლაპარაკობს. ვინმე ახსენებს კიდევ გაყალბებულ არჩევნებს?! ივანიშვილს დამორჩილებული სასამართლო 2020 წლისთვისაც სჭირდება, როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ კიდევ შეძლებს გაყალბებას, ხოლო საარჩევნო დავების დროს არც ერთი ხმა სასამართლოში არ გადაითვლება. ეს არის გამოძახილი იმისა, რასაც წლების წინ ვამბობდი. ყველაფერი ერთი ერთში დაჯდა. აბა, რაში სჭირდება ივანიშვილს ასეთი წამგებიანი ნაბიჯი, როცა ჩინჩალაძით აკომპლექტებს სასამართლოს? სჭირდება იმიტომ, რომ არც ერთი საარჩევნო ბიულეტენი არ უნდა გადაითვალოს სასამართლოში და ამის გარანტი იქნება მურუსიძე-ჩინჩალაძის დუეტი.

– ივანიშვილი 2020-სთვის ემზადება?

– რა თქმა უნდა. ხომ ვნახეთ, საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური ვაშაძემ მოუგო ივანიშვილს. ორმა ნაციონალურმა მოძრაობამ აიღო 50%, ხოლო ბიძინამ აიღო 38%. მეორე ტურში რაც გააკეთა, ყველამ დავინახეთ, თანაც ნაციონალებმა საეჭვოდ აღარ იბრძოლეს მეორე ტურში.

– რატომ, გარიგება მოხდა?

– არა მგონია, გარიგება მომხდარიყო. უბრალოდ, მიუშვეს ივანიშვილი, რომ რაც შეიძლება მეტი სისულელე ჩაედინა.

– უმრავლესობის შიგნით არსებული დაპირისპირების მიუხედავად, გავა ეს ათკაციანი სია?

– მოხდება კორექტირება, მაგრამ მურუსიძეები წარადგენენ სიას. რაც შეეხება ამ დაპირისპირებას, დღეს ყველზე მეტად ეს სჭირდება ივანიშვილის ხელისუფლებას.

– რატომ?

– იმიტომ, რომ კატასტროფულად წაგებული და ჩატარებული არჩევნების ფონზე სასწრაფოდ უნდა გადაიტანონ სხვა თემაზე ყურადღება. ხომ ვხედავთ, მთელი სატელევიზიო სივრცე დღეს ამ თემებზე საუბრობს. ეს ხომ ივანიშვილის თამაშია და ისევ მის წისქვილზე ასხამს წყალს.

– ახალი ოპოზიციური ფრთის შექმნას ხომ არ ცდილობს ივანიშვილი ბესელიასა და მისი გუნდისგან?

– ყველაფერია შესაძლებელი. ის ცდილობს, ამ ეტაპზე მთელი ყურადღება სწორედ ბესელიაზე გადავიდეს, თითქოს ის არის მეამბოხე, მებრძოლი და ასე შემდეგ. ქალმა, რომელმაც ეს საკანონმდებლო ცვლილება გაიტანა და მხარი დაუჭირა, ქალმა, რომელმაც იცოდა, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება გამოიწვევდა იმას, რომ მურუსიძეები და ჩინჩალაძეები თავიანთ თავს წარადგენდნენ. ადამიანი, რომელიც ამ ყველაფერში მონაწილეობდა, ახლა ამის წინააღმდეგ როგორ გამოდის?! ეს რა ლოგიკაა?! სამწუხაროდ, დღეს ყველა წამყვანი ტელეკომპანია შეცდა და ივანიშვილის ამ თამაშში ჩაერთო. თურმე „ოცნებაში“ განხეთქილებაა... არაფერი განხეთქილება იქ არ არის. ეს ივანიშვილის თამაშია.

– ივანიშვილი ამით ბესელიას ხომ არ აძლიერებს?

– არა, ივანიშვილს ერთადერთი მიზანი აქვს, რომ როგორმე დაივიწყოს ყველამ წაგებული, გაყალბებული არჩევნები და „ოცნების“ კრახი. ხალხის ყურადღება ერთი მტკივნეული თემიდან გადააქვს მეორეზე. აი, ჩინჩალაძე, მურუსიძე. ჩინჩალაძე და მურუსიძე რომ იქნებოდნენ უზენაეს სასამართლოში, ეს ორი წლის წინ გადაწყდა.

– საბოლოოდ რა შედეგს მივიღებთ?

– მე მგონია, რომ ივანიშვილს ძალიან ცუდად მოუწევს აქედან წასვლა. საერთოდ თუ მოუწევს. ფაქტობრივად, ის ჩაუშესკუს ბედისაკენ მიდის, ცდილობს ყველაფრის ხელში ჩაგდებას, ყველაფრის მონოპოლიზაციას. ხალხმა მას გადაჭრით უთხრა უარი, უთხრა, გვეზიზღებიო, მაგრამ ის მაინც ადგა და იყიდა ეს არჩევნები. 2020 წელს ეს აღარ გამოუვა. მისი დღეები დათვლილია. ერთმა ჭკვიანმა ექსპერტმა, ხუხაშვილმა თქვა, ივანიშვილი უკვე დამთავრდა და ეს მხოლოდ მას არ ესმისო. მეც სრულიად ვეთანხმები. მისი ქვეშევრდომები უკვე გზებს ეძებენ, როგორ გადახტნენ ჩაძირული გემიდან. ყველაზე კარგი ვარიანტია, რომ ის მშვიდობით წავიდეს და ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები, რათა მთელი სიცოცხლე საპატიმრო დაწესებულებაში არ გაატაროს.

„უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას მხოლოდ სააკაშვილის მომხრე მეუფეები ემხრობიან“

ნანა დევდარიანი: „უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია პოროშენკოს ავანტიურაა“

გულიკო ბალაძე

რატომ აკრიტიკებენ მეუფეები იმ პოზიციაზე მყოფთ, რომლებიც უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას არ აღიარებენ და არ ულოცავენ? რა რისკებს შეიცავს ჩვენთვის უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება? ამ საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს **ნანა დევდარიანი** პასუხობს.

– ქალბატონო ნანა, საქართველოს საზოგადოებაში, ეკლესიაში აზრთა სხვადასხვაობაა უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე. ამ ფაქტის მიმართ თქვენი დამოკიდებულება როგორია?

– ჯერ ერთი, რომ ეს არ არის დამოუკიდებლობის აღიარება. თუ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია რუსული ეკლესიის წიაღში ფართო ავტონომიით სარგებლობს, ახლა ის გადადის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში. ამიტომ სიტყვა დამოუკიდებელი ჰაერიდან არის აღებული. არავითარი ავტოკეფალია და დამოუკიდებლობა ეს არ არის.

– აბა, რა არის?

– ეს არის პირდაპირ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. ეს ყველაფერი პეტრო პოროშენკომ დაიწყო, რადგან წინასაარჩევნოდ აუცილებლად სჭირდებოდა სერიოზული გარღვევა, რადგან დაბალი რეიტინგი ჰქონდა. პოროშენკომ ეს ავანტიურა მოიფიქრა და თითქოსდა უკრაინის ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა. ჯერ ერთი, ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევა საერო ხელისუფლების საქმე საერთოდ არ არის.

– კი მაგრამ, მაშინ ტომოსი რა არის?

– ტომოსის ჩაბარება საერო ხელისუფლების წარმომადგენლისთვის, თან ისეთ პირობებში, როდესაც ახლა უკვე უკრაინის ეკლესიას გამოუგზავნეს ეგზარქოსები, ადგილობრივ ხელმძღვანელებს არ ენდობიან. ამიტომ კანადიდან და შეერთებული შტატებიდან გამოუგზავნეს ეგზარქოსები. ამიტომ დამოუკიდებლობა კი არ არის, არამედ უკრაინის ეკლესიის უფრო შევიწროვებულ მდგომარეობაში ჩაყენებაა.

ტომოსი ჩაბარა საერო ხელისუფლების წარმომადგენელს და გამოაყენებინა ეს წინასაარჩევნოდ. რომელ დამოუკიდებლობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა თვით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სინოდის ყველა წევრსაც კი არ აქვს ხელი მოწერილი ამ ტომოსზე და უკან გაიხმეს ეს დოკუმენტი.

– რატომ გაიხმეს უკან?

– იმიტომ, რომ სხვების ხელმოწერასაც საჭიროებს. არც ერთი მართლმადიდებელი ეკლესია არ აღიარებს. საქართველოში შუღლის ასე გაღვივება, რომ ჩვენ უკრაინას მხარი უნდა დავუჭიროთ, არასწორია, აქ პოლიტიკოსებს არავინ ეკითხება, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს თუ არა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას.

– საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც აზრთა სხვადასხვაობაა. რამდენიმე ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ უკრაინის ეკლესია იმსახურებს დამოუკიდებლობას და გააკრიტიკეს რუსეთის ეკლესია იმ დამოკიდებულების გამო, რომელიც მათ გააჩნიათ საქართველოს მიმართ.

– რატომღაც მხოლოდ სააკაშვილის მომხრე მეუფეები არიან უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრე. ეს არის ძალიან საინტერესო, რადგან, როგორც პოროშენკო იყენებს პოლიტიკური მიზნებისთვის, აქაც გარკვეული ჯგუფები ამას გარკვეული მიზნებისთვის იყენებენ.

– რუსული ეკლესიის მამამთავრები ხმას არ იღებენ კრემლის მიერ ქართველი მართლმადიდებლების დევნაზე, არ ხდება მართლმადიდებელი მრევლის დაბრუნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამაზე რას იტყვით?

– კი, მაგრამ ჩვენ ერთმანეთში ნუ ვურევთ ეკლესიებსა და სახელმწიფოს. ეკლესიას არ შეუძლია დევნილების დაბრუნება, რომც მოინდომოს. დევნილები უნდა დაბრუნდნენ მხოლოდ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებებითა და მხოლოდ სახელმწიფო გარანტიებით.

2008 წლიდან 10 წელი გავიდა. რუსეთმა აღიარა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დამოუკიდებლად, მაგრამ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას არ უღიარებია აფხაზეთსა და ცხინვალში არსებული ეკლესიები ან ცალკე ეკლესიებად, ან თავისი ეკლესიების ნაწილად. დღემდე აცხადებს, რომ იქ უნდა ვრცელდებოდეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქცია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რა წამშიც ჩვენ დავუჭერთ მხარს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას, მაშინვე დაუჭერენ მხარს აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიას. ეს იქნება სრული აბსურდი.

– ფაზისელი მიტროპოლიტი გრიგოლი აცხადებს, რომ ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობის დევნაზე კომუნიკეებს იღებდნენ. მოტყუებით ჩაიყვანეს ჩვენი პატრიარქი, ხელი მოაწერინეს ამ კომუნიკეზე, მაგრამ კავკასიაში ქრისტიანი ქართველების ხოცვასა და დევნას ადგილი ვერ მოუძებნეს კომუნიკეში, რადგან თავად არიან ამ დევნის შემოქმედნი. არ შეიძლება, ამაში ფაზისელ მიტროპოლიტს არ დაეთანხმო.

– მიტროპოლიტ გრიგოლს სააკაშვილის წინასაარჩევნო პლაკატები ჰქონდა გაკრული მონასტერში. მას რომ უსმენ, მაშინვე გახსენდება ყველაფერ იმის „გაპრავება“, რაც ხდებოდა მიშას დროს.

ახლო აღმოსავლეთში ათასობით ქრისტიანს თავს ჰკვეთდნენ და ხოცავდნენ. ამასთან ქართველი მართლმადიდებლების დევნის მიბმა, სულ ცოტა, უადგილოა. რაც შეუძლია ეკლესიას, გააკეთოს, რუსეთის ეკლესიამ არ აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ეპარქიების დამოუკიდებლობა. ეს არის ყველაზე პრინციპული.

– სინოდში რეალურად არის უკმაყოფილება რუსეთის ეკლესიის მიმართ. ერთმა მეუფემ ისიც თქვა, რამდენჯერ იახლეს საქართველოს მხცოვანი და ფიზიკურად დაუძლურებული ჩვენი პატრიარქი მოსკოვში, მაგრამ რომელი დაპირება შეუსრულესო.

– ფიზიკურად დაუძლურებულია, მხცოვანია თუ როგორ არის, ეს არ არის მიტროპოლიტებისა თუ სინოდის წევრების საჯაროდ განხილვის საგანი. ასეთი განცხადებები, უბრალოდ, სირცხვილია. ის შენი პატრიარქია. ამაზე ხაზგასმა და მითითება არის უზნეობა.

პატრიარქს ნუ გადაახტებიან. თუ პატრიარქს აქვს რამე სათქმელი, ის ყოველთვის ამბობს ხოლმე. აქ მთავარი ის არის, რომ უნდათ, ნებისმიერი თემა რუსეთთან კონფრონტაციის გამწვავებისთვის გამოიყენონ, მეტი მანდ არაფერი შინაარსი არ არის.

– რა რისკებს შეიცავს საქართველოსთვის უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება?

– უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია არ არის აღიარებული. უნდათ, ჩვენ ყველაზე წინ გავიქცეთ, ყველაზე წინ პოზიციები ვაფიქსიროთ. თუ პროცესი ისე წავიდა, როგორც დღეს – საერო ხელისუფლება წყვეტს ეკლესია-მონასტრების კუთვნილებას – უკრაინაში დიდი სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალია. იქ სერიოზული მართლმადიდებელი ეკლესია კიდევ ბევრია. ისინი ასე იოლად არ დათმობენ.

– ანუ უკრაინაში დაპირისპირებაა მოსალოდნელი?

– დიახ, ეს პროცესი მიდის. თუ ასე გაგრძელდა, სერიოზული სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალია. ადრე ხომ ლუგანსკისა და დონეცკის თემაზე იყო დაპირისპირება, ახლა მოსალოდნელია რელიგიის თემაზე დაპირისპირება, რაც გაცილებით ფაქიზი თემაა.

– ჩვენ რუსეთის ეკლესიასაც ვაღიარებთ, კონსტანტინეპოლის ეკლესიასაც. რუსეთმა კი ევქარისტული კავშირი შეწყვიტა კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან და მსოფლიო ეკლესიასთან.

– რა თქმა უნდა, კონსტანტინეპოლის ეკლესია პირდაპირ შეეხო რუსეთის ეკლესიის საეკლესიო საქმეებს – პირდაპირ ჩაერია მის შიდა საქმეებში, ყველა კანონიკისა და პროცედურის დარღვევით გააკეთა ის, რაც გააკეთა პოროშენკოს საამებლად.

– ის მეუფეები, რომელთაც თქვენ სააკაშვილის მომხრე მეუფეებს ეძახით, აკრიტიკებენ ეკლესიას იმ ნეიტრალიტეტის გამო, რასაც იჩენენ დღეს ჩვენი ერისა და ეკლესიის მეთაურები ამ საკითხის მიმართ და ყველა მათ, ვინც ამ პოზიციას იზიარებს, პრორუსებს ეძახიან.

– მაშინ ასეთივე წარმატებით უნდა ეძახონ პრორუსები პოლონეთის, ბულგარეთის, რუმინეთის ეკლესიების მეთაურებს. ეს არ არის ნეიტრალიტეტი. რაც შეეხება სახელმწიფოს უმაღლესი რანგის წარმომადგენლებს, მათი საქმე საერთოდ არ არის ამ საკითხებში ჩარევა. უკრაინის ეკლესიის კი არა, საკუთარი ქვეყნის საქმეებში ჩარევა არ არის მათი საქმე. კარგად წაიკითხონ კონსტიტუცია, სადაც წერია, რომ სახელმწიფო და ეკლესია არის განცალკევებული.

ერთმა რომელიმე ეკლესიამ რომ აღიაროს, მაშინ კიდევ შეიძლება რაღაცაზე საუბარი. არავინ არ აღიარებს და ეს ნეიტრალიტეტი კი არ არის, დანარჩენი ეკლესიების მიმართ პოზიციის გამოხატვაც არის და პატივისცემის გამოხატვაც.

– ეს მეუფეები აღიარებენ და ულოცავენ უკრაინას ეკლესიის დამოუკიდებლობას, მაშინ ეს როგორ გამოდის?

– ზუსტად ასევე გამოდის. მთელი სინოდის, ჩვენი ეკლესიისა და სხვა ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის ზემოთ საკუთარი თავის დაყენება სხვა არაფერი არ არის. მათ არავინ ეკითხება უკრაინის ეკლესიის აღიარებას. რომელიმე ერთი ეკლესიის აღიარებაც კი არაფერს ნიშნავს, ყველამ თუ არ აღიარა. წესი ასეთია, კანონიკა ასეთია. ცალკეულ მღვდელმთავარს, რას აღიარებს და როგორ აღიარებს, არავინ ეკითხება.

– აფხაზებმა მიმართეს მსოფლიო პატრიარქს. როდესაც ჩვენ უკრაინასთან დაკავშირებით მსოფლიო პატრიარქის გადაწყვეტილებას მხარს არ ვუჭერთ, მაშინ აფხაზეთის აღიარების საშიშროება მსოფლიო საპატრიარქოდანაც უფრო არ იზრდება?

– ავტოკეფალიის საკითხი არ არის სახელმწიფოს აღიარების მაგვარი აღიარების საკითხი. მთელ რიგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ის ეკლესია, რომელიც ავტოკეფალიას ითხოვს. როდესაც რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო, მაშინ უკრაინა, როგორც სახელმწიფო წარმონაქმნი, საერთოდ არ არსებობდა. ახლა უკრაინის ამ სახელმწიფოზე მიბმა არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება.

– არ შეიძლება, არ დაეთანხმო უკრაინის ავტოკეფალიის მომხრე მეუფეებს იმაში, რომ უკრაინის 40-მილიონიან ქვეყანას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი ეკლესია, დამპყრობელი ქვეყნის პირველ იერარქს არ უნდა იხსენიებდეს ლოცვებში და მას ეკლესიურად არ უნდა ექვემდებარებოდეს.

– კიდევ ერთხელ მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე – რამდენი მილიონია შეერთებული შტატების მოსახლეობა და რამდენი დამოუკიდებელი ეკლესია აქვს მას? ამერიკის ტერიტორიაზე არც ერთი მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესია არ არის.

– შეიძლება, აღიარების საკითხი დროის საქმეა და მომავალში საქართველოს ეკლესიამ აზრი შეიცვალოს?

– მარადიული ცისქვეშეთში არაფერია. ყველაფერი არის პროცესში და განვითარებაში, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი, საერო საკითხები იქნება თუ საეკლესიო, ყოვლისმომცველი დიალოგის გარეშე არ გადაწყდება. ვაცალოთ ეკლესიას, რომ თავის წიაღში, მათ შორის, სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან დიალოგში გადაწყვიტოს ეს საკითხი.

– რუსეთის ეკლესიის მამამთავრები ჩვენს პატრიარქს არ აღიარებენ, როგორც ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს და ამ სტატუსით ლოცვებში არ მოიხსენიებენ. ამაზეც არის უკმაყოფილება ჩვენს საეკლესიო იერარქებში.

– რატომ დაემატა ჩვენი პატრიარქის ტიტულატურას ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ტიტული, ძალიან კარგად ვიცით. ეს სწორი და კარგი იყო. რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები ჩვენს პატრიარქს მოიხსენიებენ, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

– ეს ნიშნავს აღიარებას?

– სრულიად საქართველო, ვიცით, რაც არის. ხომ არ ამბობენ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშეო.

იმას, რაც შეიძლება უკრაინაში დიდი საეკლესიო განხეთქილების საფუძველი გახდეს და ასეთი პირი უჩანს, ნუ აქცევენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილების საგნად.

– განხეთქილების ნიშნები კი ჩანს, ამ მეუფეების განცხადებებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ.

– ერთი რამ ყველამ უნდა იცოდეს – ეკლესიაში შეიძლება იყოს მღვდელმთავარი, შეიძლება, ის გავიდეს ეკლესიის წიაღიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს ეკლესიის ერთიანობის რღვევას. ნუ ცდილობენ ამის გაკეთებას. არც ერთი პიროვნება არ დგას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტზე მაღლა.

ზაზა ფაჩულია სიონის ტბასთან სასტუმროს აშენებს

NBA-ს ჩემპიონი, ცნობილი ქართველი კალათბურთელი, ზაზა ფაჩულია, საქართველოში, სიონის ტბასთან, სასტუმროს აშენებს.

სასტუმროს მშენებლობას ზაზა ფაჩულია „არქი ჯგუფის“ დამფუძნებელთან, დეპუტატ ილია წულაიასთან კოლაბორაციით გეგმავს. მათ ერთობლივი კომპანია „სიონი ლეიქ რესორთ & სპა“ უკვე დააფუძნეს და პროექტ „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში უძრავი ქონებაც შეიძინეს.

პირობის მიხედვით, ადგილზე ბუნებრივ და ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნებით აღჭურვილი, არანაკლებ 60-ნომრიანი სასტუმრო აშენდება.

ზაზა ფაჩულიამ „არქი ჯგუფთან“ თანამშრომლობის დაწყებაზე გასული წლის ნოემბერში განაცხადა. სპორტსმენმა კომპანიის ერთ-ერთ კომპლექსში ბინაც შეიძინა. მაშინ არაერთი საინტერესო პროექტის წამოწყება დაანონსდა.

GBC.GE

რა სტატუსი ექნება ქართუს მიერ განულებულ სესხებს — კრედიტინფო განმარტებას აკეთებს

კრედიტინფოში „ფონდ ქართუს“ მიერ განულებულ სესხებზე სტატუსის ცვლილება ეტაპობრივად ხორციელდება, – საკრედიტო ბიურო განმარტებას აკეთებს.

მათი ცნობით, პირველ ეტაპზე ყველა ასეთ სესხს მიეთითება, რომ სესხი „ნაყიდია ფონდ ქართუს მიერ“. პროცესის დასრულების შემდეგ კი სესხებს მიენიჭება „დახურულის“ სტატუსი.

– გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მას შემდეგ რაც გადმოგვეცემა აღნიშნული სესხების სრული სია, მონაცემები ჩასწორდება ავტომატურად, თქვენი მოთხოვნის დაფიქსირების გარეშე, – აცხადებენ ბიუროში.

ბოლო მონაცემებით, ფონდი ქართუმ 609.542 მსესხებლის, 1.360.991 სესხი გამოისყიდა, ჯამური დავალიანების თანხა (ძირი+ ჯარიმა/საურავი) შეადგენს 4.027.099.783 ლარს.

პროცესში მონაწილეობს 11 ბანკი, ასევე – 41 საფინანსო ორგანიზაცია.

GBC.GE

„აფეთქების ხმა გავიგე, ბავშვების ხროტინი მესმოდა, ჩემი ხელით გამოვიყვანე ჩემი შვილები“

დიდი ტრაგედია დიდ დიღომში

დიდ დიღომში 9-სართულიან სახლში აფეთქებას ფართო საზოგადოებრივი გამოხმაურება მოჰყვა.

აფეთქება ფირალიშვილების სახლში მოხდა. აფეთქების შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა – ნათია ციცვაძე, მისი და და მისი 4 წლის ვაჟი, ასევე 30 წლის ლევან დავლაძე.

ნათია ციცვაძე ქართულ-ამერიკულ სკოლაში ინგლისურს ასწავლიდა.

მასთან ერთად სახლში მისი 3 შვილი, და და მეუღლე იმყოფებოდნენ. 4 წლის ბიჭი 16 იანვარს ღამით „იმედის“ კლინიკაში გარდაიცვალა, 2 ბავშვი კი იაშვილის კლინიკაში მოათავსეს.

ნათიას მეუღლე ფრიდონ ფირალიშვილი მსუბუქი დაზიანებებით ღუდუშაურის კლინიკაში იყო მოთავსებული და გუშინ დილას გაწერეს.

– სახლში ახალი მისული ვიყავი, აფეთქების ხმა გავიგე, ბავშვების ხროტინის ხმა მესმოდა, ჩემი ხელით გამოვიყვანე ჩემი შვილები, – თქვა ფრიდონ ფირალიშვილმა აფეთქების შემდეგ.

ფირალიშვილების მეზობლის, ირინა ბაძგარაძის, თქმით, გაზის მძაფრი სუნი კორპუსში მთელი დღის განმავლობაში იგრძნობოდა.

– დღის განმავლობაში მოსული იყვნენ „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენლები, დაათვალიერეს და წავიდნენ. სხვა არანაირი ზომები მიუღიათ. იმდენად ძლიერი აფეთქების ხმა იყო, ვერ აღგიწერთ, – განაცხადა ბაძგარაძემ.

გუშინ საღამოს გარდაცვლილი დედა-შვილის ცხედრები ექსპერტიზის შემდეგ სახლში გადაასვენეს.

36 წლის ნათია ციცვაძისა და მისი 4 წლის ვაჟის ცხედრები მთაწმინდაზე იმ ბინაში მიასვენეს, სადაც ოჯახი წლების განმავლობაში, ახლად შეძენილ სახლში გადასვლამდე ცხოვრობდა.

ნათესავები ყვებიან, რომ ახალგაზრდა ოჯახი მშენებლობის დასრულებასა და ახალ სახლს რამდენიმე თვის განმავლობაში ელოდა, ბოლოს საცხოვრებლად ავთანდილის ქუჩაზე ახალი წლის წინ გადავიდნენ.

– ახალი გარემონტებული ბინა ჰქონდათ, ახალი ნაყიდი ჰქონდათ. მანამდე აქ იყვნენ, ძალიან კარგი ოჯახი იყო. მეუღლე არ ვიცი, ზუსტად სად არის, – ამბობს ოჯახის ახლობელი, გიორგი ონაშვილი.

❖ ❖ ❖

დიდ დიღომში აფეთქების შედეგად გარდაცვლილი ერთ-ერთი პირი 30 წლის ლევან დავლაძეა.

ნატო არევაძე ფეისბუქში წერს:

„ჩემო ლამაზო ძამიკო, როგორ გაგვამწარე, როგორ დაგვეცა მეხი, საშინელებათა სიზმარში მგონია თავი. მთელი საქართველო გგლოვობს. ლევანი დავლაძე. ილო ვერ მოგვინელებია და ახლა შეეენ!“

კორპუსში მცხოვრებმა ილია ბუზალაძემ კი ფეისბუქში დაწერა, როგორ გადაურჩა სიკვდილს:

„ლიფტიდან ფეხი გამოვდგი და მთელი ლიფტის კარები და ბლოკები ზედ დამეცა, ლიფტი შახტაში ჩავარდა, უბრალოდ, ორი ნაბიჯი გადმოვდგი ლიფტიდან... გადავრჩი, ოჯახიც გადამირჩა, ჯერაც ვერ ვხვდები, როგორ გადავრჩი....

ხოდა, გვიყვარდეს ერთმანეთი რა, გვიყვარდეს, ერთი ნაბიჯი დამაკლდა, რო ეხლა სადღაც ლიფტის შახტაში უნდა ვეგდო, ზუსტად ერთი ნაბიჯი.. ღმერთმა გაანათლოს გარდაცვლილები და გაძლება ღმერთმა ჩემ მეზობელ ბიჭს ამ ტრაგედიის გადასატანად...“

❖ ❖ ❖

პოლიციაში არ ამბობენ, გამოიკვეთა თუ არა დიდ დიღომში მომხდარი აფეთქების ფაქტზე ვინმეს ბრალეულობა.

როგორც დიდი დიღმის მეოთხე განყოფილებაში ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსმა ვაჟა სირაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მომხდარზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

– მიმდინარეობს შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, – განაცხადა ვაჟა სირაძემ.

გუშინ, 17 იანვარს, დიდი დიღმის მეოთხე განყოფილებაში სამშენებლო კომპანია „ელ ჯგუფის“ ხელმძღვანელი გიორგი ჭანტურიას გამოკითხეს.

„ელ ჯგუფი“ ის კომპანიაა, რომელმაც საცხოვრებელი კორპუსი ააშენა, სადაც 16 იანვარს აფეთქება მოხდა.

– დიდი ალბათობით, „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ცდილობს, პასუხისმგებლობა სამშენებლო კომპანიაზე გადატყდეს, – განაცხადა გიორგი ჭანტურიას ადვოკატმა ლექსო კობაიძემ.

– გარკვევის პროცესში ვართ. რაც შეეხება ექსპლუატაციას, არც ერთი კორპუსი არ არის შესული ექსპლუატაციაში დღესდღეობით თბილისში. უსაფრთხოების ნორმები დაცული იყო, – აღნიშნა ადვოკატმა.

გუშინვე პოლიციაში „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ თანამშრომლებიც გამოკითხეს.

❖ ❖ ❖

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავთანდილის ქუჩაზე მდებარე სახლი, სადაც აფეთქება მოხდა, ექსპლუატაციაში მიღებული არ იყო.

კალაძე: „ამ კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებას უახლოეს მომავალში ვაპირებდით“

– დედაქალაქის მასშტაბით, შეიძლება ათი ათასობით ადამიანი ცხოვრობდეს ისეთ საცხოვრებელ კორპუსებში, რომლებიც ექსპლუატაციაში მიღებული არაა. გაზი, წყალი, ელექტრომომარაგება ექსპლუატაციასთან კავშირში არაა, – განაცხადა თბილისის მერმა კალაძემ.

მისი ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების დასრულებისთანავე, დაზიანებულ კორპუსში აღდგენითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება.

– ამ ეტაპზე, შემთხვევის ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. ამის შემდეგ, როგორც კი შესაძლებლობა მოგვეცემა, აღდგენის სამუშაოებს დავიწყებთ. კორპუსს რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოსახლეობას გარემონტებული ჩაბარდება.

დედაქალაქის მასშტაბით, შეიძლება ათი ათასობით ადამიანი ცხოვრობდეს ისეთ საცხოვრებელ კორპუსებში, რომლებიც ექსპლუატაციაში მიღებული არაა. გაზი, წყალი, ელექტრომომარაგება ექსპლუატაციასთან კავშირში არაა. მშენებელმა უნდა წარმოადგინოს არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა და თუ ის თანხვედრაშია უკვე განხორციელებულ პროექტთან, ამის შემდეგ ხდება მისი ექსპლუატაციაში მიღება.

ამ კონკრეტულ კორპუსს მერიაში წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია მიღებასთან დაკავშირებით, დაუდგინდა მცირე ხარვეზები, რაც გამოსწორდა. დოკუმენტები ისევ მერიაში შემობრუნდა და უახლოეს დღეებში კორპუსი ექსპლუატაციაში მიღებული იქნებოდა, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერი სასტუმრო „ტეხასსა“ და „შაინში“ მივიდა, სადაც თბილისის მერიამ დაზარალებული ოჯახების ნაწილი დროებით დააბინავა.

კალაძემ სასტუმროების მფლობელებს, რომელთაც დაზარალებულ თანამოქალაქეებს დროებითი საცხოვრებელი ნებაყოფლობით დაუთმეს, მადლობა გადაუხადა.

– მინდა, სასტუმროს ხელმძღვანელობას მადლობა გადავუხადო თანამშრომლობისთვის, თანადგომისთვის, რადგან ეს ადამიანები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე შეიფარეს. სოლიდარობის გრძნობა რომ არსებობს, ეს მნიშვნელოვანია და ასეთი ადამიანები დასაფასებელი არიან. დედაქალაქის მერია, საბურთალოს რაიონის გამგეობა ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ ადამიანებს პრობლემა არ შეექმნათ, – განაცხადა მან.

ამ დროის მონაცემებით, დაზარალებული 87 ადამიანი 4 სხვადასხვა სასტუმროშია გადანაწილებული.

იგოეთთან ერთმანეთს 20 მანქანა შეეჯახა

გუშინ, 17 იანვარს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთის მონაკვეთზე ერთმანეთს 20-ზე მეტი ავტომობილი შეეჯახა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველმა აცნობა, ამის მიზეზი გზაზე არსებული ლიპყინული იყო.

მისი თქმით, გზა იმდენად მოყინული იყო, რომ მანქანებს უსაფრთხოდ გადაადგილება უჭირდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალზე ავარია სამ სხვადასხვა ადგილზე მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს პრესსამსახურში განუცხადეს, აღნიშნულ მონაკვეთზე ამინდი მკვეთრად გაუარესდა, რის გამოც მოძრაობა ნელი სვლით მიმდინარეობდა.

მოძრაობას საპატრულო პოლიცია აკონტროლებდა.

„ავარია ფიქსირდება სამ სხვადასხვა ლოკაციაზე, საბოლოო ჯამში, ოცზე მეტი ავტომობილია შეჯახებული. ამინდი მკვეთრად გაუარესდა, რის გამოც მოცურდა მანქანები. ამ ეტაპზე დაშავებულები არ არიან“, – განაცხადეს შს სამინისტროში.

ქუთაისში ტრაილერი საავტომობილო გზიდან გადავიდა და ხევში ჩავარდა

ქუთაისის შესასვლელთან, ე.წ. წყალწითელას ხიდიდან ტრაილერი გადავარდა.

თურქული ნომრებით მოძრავი ტრაილერის მძღოლმა, სავარაუდოდ, საჭე ვერ დაიმორჩილა და ხიდიდან გადავარდა.

მომხდარის გამო მსუბუქი დაზიანება მიიღო მძღოლმა.

ფაქტზე მოკვლევას საპატრულო პოლიცია აწარმოებს.

გიორგი ადუაშვილს ბრალი 2 მუხლით წაუყენეს

გუშინ, 17 იანვარს, ვერაზე მომხდარი სროლის საქმეზე, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დაკავებულ გიორგი ადუაშვილს ბრალი 2 მუხლით წაუყენეს.

ადუაშვილს ბრალი გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრში განუმარტეს.

დაკავებული დუმილის უფლებით სარგებლობს.

დაკავებულების აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლო სავარაუდოდ, დღეს იმსჯელებს.

გამოძიების ინფორმაციით, მიმდინარე წლის 15 იანვარს თბილისში, გიორგი ადუაშვილმა, რომელიც ავტომანქანით გადაადგილდებოდა, 1988 წელს დაბადებულ ზურაბ კუჭავას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა.

ჩატარებული ოპერატიული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მომხდარიდან რამდენიმე საათში პოლიციამ განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ადუაშვილი დააკავა.

პოლიციამ დაკავებულის მეგობარი კონსტანტინე ჯორბენაძე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავა.

გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ბრალის წაყენების შემდეგ ადუაშვილის ადვოკატმა ზაზა მესხმა კომენტარი გააკეთა.

– გიორგი ადუაშვილმა შეიძლება შემდეგში ჩვენებაც მისცეს და განმარტოს, თუ რა მოხდა, – განაცხადა მან.

ადვოკატმა განმარტა, რომ მის კლიენტს ბრალი 2 მუხლით აქვს წარდგენილი და თავს დამნაშავედ არ სცნობს.

– ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე და ასევე იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვის მუხლებით წარედგინა. ის წარდგენილ ბრალდებას გაეცნო, ხელი მოაწერა, მაგრამ თავს დამნაშავედ არ სცნობს და ამჟამად კანონით მინიჭებულ დუმილის უფლებას იყენებს, – აცხადებს მესხი.

ადვოკატი განმარტავს, რომ ბრალდებული მხოლოდ ამ ეტაპზე იყენებს დუმილის უფლებას.

– ჯერ კიდევ ნარკოზის ქვეშ იმყოფება, ალბათ, ხვალ იქნება სასამართლო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე. შეიძლება შემდეგში ჩვენებაც მისცეს და განმარტოს, თუ რა მოხდა.

მტკიცებულებების ასლები ჩაგვბარდა, საქმე საკმაოდ მოცულობითია, გავეცნობით და შემდეგ მოგახსენებთ, თუ რა მტკიცებულებები აქვს მოპოვებული გამოძიებას და რის საფუძველზე წარედგინა მას ბრალი.

მე ვიცი, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არის დაჭრილი, მას 6 ჭრილობა აქვს მიყენებული.

კუჭავას რა ჭრილობა, ვის მიერ აქვს მიყენებული, არ ვიცი. როგორც ჩემთვის ცნობილია, მათ კონფლიქტი არ ჰქონდათ, – დასძენს ადვოკატი.

მოხდება თუ არა რუსეთის მიერ ბელორუსის ანექსია?!

– რუსეთ-ბელორუსის გაერთიანება ლოგიკური პროცესია და არ მესმის, ამის გამო ხმაური რატომ ატყდა?! სამოკავშირეო სახელმწიფო რუსეთ-ბელორუსი კარგა ხანია არსებობს. დღეს ეს ფორმალობაა, მაგრამ, დადგა დრო, რომ რეალობად იქცეს, – თქვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა.

ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო კი რუსეთის დაშანტაჟებას ცდილობს, თუ კრემლი მსგავს რიტორიკას არ მოიშლის, ჩვენი საგარეო პოლიტიკის ვექტორი დასავლეთის მიმართულებით წავაო.

პოლიტოლოგი სერგეი რუდენკო მიიჩნევს, რომ ეს უფრო ბლეფია, ვიდრე რეალობა. ლუკაშენკოს დიქტატორის მყარი იმიჯი გააჩნია. ის ისეთ ოდიოზურ ლიდერებთან მეგობრობდა, როგორებიც იყვნენ მუამარ კადაფი, უგო ჩავესი. ლუკაშენკო გმობდა ერაყში ამერიკელების შესვლას, იცავდა სადამ ჰუსეინს და ა.შ.

– ლუკაშენკოს გამო დასავლეთი თავს არ გამოიდებს, – ამბობს რუდენკო.

რუსეთის მეორე არანაკლებ სერიოზული კოზირია რელიგია. ბელორუსული ეკლესია, როგორც ასეთი, არ არსებობს. მინსკში რუსი ეგზარქოსი ზის. მღვდლებიც ამბიონიდან რუსეთთან გაერთიანების თაობაზე ქადაგებენ. რუსული ენა ყველა დონეზე დომინირებს. უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების უმეტესობა რუსულენოვანია. რუსულად მეტყველებენ არმიაში, უშიშროებაში. მოსახლეობის 62% რუსეთთან გაერთიანების მომხრეა.

– რუსების შეჭრის შემთხვევაში ბელორუსული არმიის ნაწილი სახლებში გაიქცევა, სხვები რუსების მხარეს გადავლენ, – მიიჩნევს ექსპერტი დმიტრი გორდონი.

ბელორუსული ეკონომიკაც მთლიანად რუსეთზეა მიბმული. ბელორუსმა ყველა ის კავშირი შეინარჩუნა, რომლებიც სსრკ-ის დროს არსებობდა, დასავლეთთან ალტერნატიული კონტაქტები კი არ დაამყარა. რუსეთთან კავშირების გაწყვეტის შემთხვევაში ქვეყანაში ნამდვილი კოლაფსი დაიწყება.

ამას გარდა, რუსეთ-ბელორუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს სახით რუსეთს უდიდესი იურიდიული კოზირი გააჩნია. მართალია, ის ჯერჯერობით მხოლოდ ფორმალურად არსებობს, მაგრამ ჩატარდა რეფერენდუმი და ხალხმა ასეთი სახელმწიფოს შექმნას მხარი დაუჭირა.

პუტინს შეუძლია თქვას, ხალხის ნების აღსრულებას ხელი უნდა შევუწყოო, ლუკაშენკოს კი არ გააჩნია იმისი რესურსი, რომ რუსეთს წინ აღუდგეს.

ბელორუსის ანექსია პუტინის სათადარიგო გეგმაა. ახლა ის უკრაინის ფრონტზე იბრძვის. 31 მარტს უკრაინა ახალ პრეზიდენტს აირჩევს, შემოდგომაზე კი – პარლამენტს. უკვე ცხადია, რომ პრორუსული ორიენტაციის კანდიდატი პრეზიდენტი ვერ გახდება. ასევე სათუოა პარლამენტში ძლიერი პრორუსული ფრაქციის შექმნა. უკრაინა, სავარაუდოდ, გააგრძელებს კურსს დასავლეთისაკენ. არ შეწყდება ომი დონბასშიც. პუტინმაც უნდა გააკეთოს არჩევანი: გააძლიეროს უკრაინაზე ძალისმიერი ზეწოლა თუ მარცხის გადასაფარად ბელორუსის ანექსიას დასჯერდეს, ხოლო უკრაინისთვის უკვე ამის შემდეგ მოიცალოს.

ტერეზა მეი პოსტზე დარჩა

ინგლისელი ლეიბორისტების მცდელობა, ტერეზა მეის მთავრობისათვის უნდობლობა გამოეცხადებინათ, ჩაიშალა. კენჭისყრაზე პარლამენტში მეის მხარი დაუჭირეს იმ დეპუტატებმაც, რომლებმაც ბრექსიტის მისეული ვარიანტი ჩააგდეს.

მეის მხარი 325-მა დეპუტატმა დაუჭირა.

ახლა მეიმ ბრექსიტის ახალი გეგმა უნდა წარმოადგინოს, ე.წ. გეგმა „ბ“, რომელზეც ადრეც იყო საუბარი.

სპეცპროკურორმა მიულერმა მანაფორტი სიცრუეში ამხილა

აშშ-ში გრძელდება გამოძიება პრეზიდენტ ტრამპის რუსებთან კავშირების გარშემო.

სპეცპროკურორმა მიულერმა, რომელიც ამ გამოძიებას ხელმძღვანელობს, სასამართლოს გადასცა ფრიად საინტერესო დოკუმენტები. მათში დასტურდება, რომ ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილმა უფროსმა მანაფორტმა შეგნებულად იცრუა და შეეცადა, გამოძიება შეცდომაში შეეყვანა.

– მანაფორტმა გამოძიებასთან მიღწეული შეთანხმება დაარღვია, – ამტკიცებს მიულერი.

თავად ტრამპი მიულერის გამოძიებას კუდიანებზე ნადირობას უწოდებს და მის შეწყვეტას მოითხოვს.

ტერაქტი სირიაში

სირიის ქალაქ მამბიჯში თვითმკვლელმა ტერორისტმა აფეთქება განახორციელა.

დაიღუპა 4 ამერიკელი ჯარისკაცი, 3 დაიჭრა.

მამბიჯი დიდი ხანი არ არის, რაც ბაშარ ასადის კონტროლქვეშ გადავიდა. ქალაქში ამერიკელი ჯარისკაცები ჯერ კიდევ რჩებოდნენ. აფეთქება მას შემდეგ მოხდა, რაც ტრამპმა ისლამური ექსტრემიზმი დამარცხებულად გამოაცხადა და სირიიდან აშშ-ის ჯარის გაყვანა დაიწყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პატიოსანმა მტვირთავმა 50 ათასი დოლარი იპოვა და პატრონს დაუბრუნა

სინგაპურში ყოფილმა პატიმარმა, რომელიც მტვირთავად მუშაობდა, იპოვა და პატრონს დაუბრუნა 50 ათასი სინგაპურული დოლარი.

23 წლის ჯეიკ ტანი და მისი ბრიგადა კლიენტს ავეჯის გამოტანაში ეხმარებოდა, რომელიც ძველი ბინიდან ახალში გადადიოდა. სამუშაოს დასრულების შემდეგ მათ გადაწყვიტეს დარწმუნებულიყვნენ, რომ არაფერი დარჩენოდათ და გულდასმით დაათვალიერეს ბინა. მესამე სართულზე ტანმა შავი პაკეტი შენიშნა. მან შიგ ჩაიხედა და 50, 100 და 1000 სინგაპურის დოლარიანი კუპიურების შეკვრები აღმოაჩინა.

ტანს თავისუფლად შეეძლო, ფული მიესაკუთრებინა, მაგრამ გადაწყვიტა, ის უფროსისთვის მიეცა, რომელმაც ნაპოვნი სახლის პატრონის შვილს დაუბრუნა. თავად მტვირთავის თქმით, ეს მან ყველაზე სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

გუგა კაჭახიძე: „საქართველოს ჩემპიონატით უცხოელი აგენტები დაინტერესდნენ“

ავსტრია, ესპანეთი, ბელგია, შვეიცარია, საბერძნეთი, დანია, შვედეთი, პოლონეთი, უნგრეთი... ბოლო 3 წელია, ეროვნული ლიგიდან ფეხბურთელთა ტრანსფერების გეოგრაფია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ეს ტენდენციაა თუ შემთხვევითობა? ვფიქრობთ, საინტერესო კითხვაა. ამ თემასთან დაკავშირებით საუბრობს საფეხბურთო აგენტი გუგა კაჭახიძე, რომელთან ინტერვიუც ეროვნული ლიგის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

კაჭახიძეს უშუალოდ უწევს მუშაობა ამ სფეროში. ცხადია, ეროვნული ლიგიდან წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატებში გადასვლა ჯერ არ მომხდარა, თუმცა, თუ ადრეულ წლებს გავიხსენებთ, ზემოთ ნახსენები ტენდენცია მაინც დადებით დინამიკას გვაჩვენებს.

– უკვე დასრულებული ჩემპიონატით დავიწყოთ. როგორ შეაფასებდით 2018 წლის ეროვნული ლიგის გათამაშებას?

– პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ ძალიან მომწონს გათამაშების ფორმატი, 10-გუნდიანი ჩემპიონატი ბევრად ეფექტურია და ეს უკვე კარგად ჩანს. ჩემი აზრით, გაიზარდა ხარისხიც და გათამაშება უფრო კონკურენტულია. ბოლო ორი სეზონი საკმაოდ დაძაბული იყო. თუნდაც შარშანწინდელი დინამო-ტორპედოს დრამატული შეხვედრა რომ გავიხსენოთ, ვფიქრობ, კომენტარიც ზედმეტია. წლევანდელი ჩემპიონატიც კარგი გამოვიდა და აქვე მინდა, საბურთალოს ჩემპიონობა მივულოცო. ამ კლუბმა ბევრი შრომა ჩადო და წარმატებებს ვუსურვებ ევროასპარეზზე.

– მაინც რა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა წინა წლებთან შედარებით?

– ყველაზე მთავარი, გაშუქება! ეროვნული ლიგის ყველა მატჩის ტრანსლაცია ხდება, ხელმისაწვდომია სტატისტიკური მონაცემები და სხვა საინტერესო ინფორმაცია... მისასალმებელია, რომ ფორმატის ცვლილებამ კლუბებს ევროტურნირებისთვის მოსამზადებლად მეტი დრო მისცა, რასაც, დარწმუნებული ვარ, მალე აუწყობენ ფეხს. მატჩების გაშუქება ეხმარება ყველას – მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, სკაუტებს, გუნდებს... ყველა დაინტერესებული პირისთვის კომფორტულია შეხვედრებზე თვალის დევნება. დიდი პროგრესია ინფორმაციის მოპოვების კუთხითაც, რაც ადრე ძნელი იყო და ეს ლიგის ცნობადობის ზრდას ხელს უშლიდა. ახლა კი გვაქვს ახალი ვებგვერდი, დატვირთულია სოციალური მედიის არხები...

– ერთ-ერთ მთავარ თემასაც მივადექით: ბოლო 2-3 წელია, ეროვნული ლიგიდან ფეხბურთელები კარგ ევროპულ ჩემპიონატებში მიდიან, რაც ადრე იშვიათობა იყო და ძირითადი ბირთვი უფრო ან აზიურ ქვეყნებში მიემართებოდა, ან რუსეთ-უკრაინის თუ სხვა ქვეყნების დაბალ ლიგებში. რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ ამ ტენდენციას?

– სწორედ ესაა ლოგიკური გაგრძელება იმისა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ეს განაპირობა იმან, რომ ეროვნული ლიგა უფრო დაძაბული გახდა, მეტია კონკურენცია; დაძაბულობის ფონზე მცირედით, მაგრამ მაინც მოიმატა ხარისხმა, მეტი ორთაბრძოლებია. ცხრილიც ისეთი მჭიდროა ხოლმე, რომ ეს ძალაუნებურად მოქმედებს ფეხბურთელებზე, თამაშებში მეტი ინტენსივობაა, რაც ტემპის გაზრდის საწინდარია. კონკურენციასა და ინტენსივობაში იმას ვგულისხმობ, რომ თუნდაც ლიდერს იოლი გასეირნება არ უწევს აუტსაიდერებთან. ბევრი ქულა იკარგება.

– ცხადია, არის პრობლემებიც, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით და ალბათ პირველი, რაც გაგვახსენდება, სტადიონებია.

– გეთანხმებით, ინფრასტრუქტურა ძალიან უშლის ხელს ჩემპიო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

დელტამ გადადებული მატჩი მოიგო

შსს აკადემია ტიტები-დელტა 72:90

(24:24, 17:26, 13:16, 18:24)

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში სუპერლიგის მე-6 ტურის გამოტოვებული მატჩი გაიმართა. დეკემბერში შსს აკადემია-ტიტებისა და დელტას შეხვედრა გადაიდო და ის მოგვიანებით ჩატარდა.

ამ მატჩამდე გუნდებს შორის ერთქულიანი სხვაობა იყო დელტას სასარგებლოდ, რომელმაც შეხვედრაში დამაჯერებლად იმარჯვა, მიმდინარე სუპერლიგაში მე-5 მოგება მოიპოვა და მე-4 ადგილზე დამკვიდრდა.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში დაიწყო და პირველი პერიოდის შემდეგ ანგარიში საყაიმო გახლდათ – 24:24. შსს აკადემია-ტიტები ფარქვეშ გამაგრდნენ, გიორგი შარაბიძისა და ილია ლონდარიძის დუეტმა გაამართლა, თუმცა მეორე პერიოდიდან დელტამ სათამაშო ტაქტიკა შეცვალა. ლექსო ლაფანაშვილის გუნდმა დაცვა გააძლიერა და აგრესიული თამაშით სამწამიანში მეტოქეს მაქსიმალურად ზღუდავდა, საკუთრივ კი სწრაფ შეტევებს ახორციელებდა და პერიმეტრიდანაც უტევდა.

შორმა სროლებმა შედეგი მოიტანეს და მეორე პერიოდის 26:17 მოგების შემდეგ დელტა დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი ლიდერობით გავიდა.

ტიტების მწვრთნელის, დავით უსტიაშვილის ტაქტიკამ მეორე პერიოდში არ გაამართლა და ამის მიზეზი დელტელთა მწყობრი დაცვა გახლდათ. პარალელურად ლაფანაშვილის გუნდის წევრები აგრძელებდნენ სამქულიანების ჩაგდებას და, რაც თამაშის დასასრული ახლოვდებოდა, მათი უპირატესობა იზრდებოდა. მესამე მეოთხედი დელტამ 16:13 მოიგო, ხოლო ბოლო ათწუთიულში ანგარიშში სხვაობამ 20 ქულას გადააჭარბა და დასკვნითმა წუთებმა აზრი დაკარგა.

თამაში სათადარიგოებმა ჩაამთავრეს და საბოლოოდ დელტას 18-ქულიანი გამარჯვება დაფიქსირდა.

19 ქულითა და 9 მოხსნით დელტელებს ბექა ბექაურმა ულიდერა. 15 ქულა (4-დან 4 სამქულიანი) მიითვალა ოთარ ფხაკაძემ, მალკოლმ დრამრაითის ანგარიშზე კი 13 ქულა დაგროვდა. ტიტებში 16 ქულით საუკეთესო იყო ბესო ლეჟავა. 14 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა გიორგი შარაბიძემ.

სატუნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	8	7	1680:619	15
2.ჰიუნდაი	8	6	2660:617	14
3.დინამო	8	6	2593:558	14
4.დელტა	8	5	3623:573	13
5.ოლიმპი	8	4	4650:607	12
6.მგზავრები	8	4	4634:623	12
7.ტიტები	8	3	5631:667	11
8.ბათუმი	8	2	6600:679	10
9.კაკტუსი	8	2	6625:694	10
10.რუსთავი	8	1	7606:665	9

ზაზა ფაჩულია მოედანს მოგებით დაუბრუნდა

8-მატჩიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ზაზა ფაჩულია მოედანს ორლანდოს წინააღმდეგ მატჩში დაუბრუნდა. მისმა დეტროიტმა კი შეხვედრა 120:115 მოიგო. ზაზამ მოედანზე 14 წუთი გაატარა და ამ დროში 6 ქულა, 3 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. ჩვენებურმა 2 ორქულიანი ჩააგდო და ორივე საჯარიმოც ზუსტად ისროლა. აღსანიშნავია, რომ ქართველ ცენტრს შეხვედრაში ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა – 16.

დეტროიტი ამჟამად 19 მოგებითა და 24 მარცხით მეცხრე ადგილზეა და პლეი-ოფის ზონას 1 მოგებით ჩამორჩება.

გიორგი შერმადინის უნიკახამ ევროთასის მე-2 ჯგუფური ეტაპის მე-3 ტურში მალაგაში ფრანგულ ლიმოჟს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 79:72 დაამარცხა. ამ მნიშვნელოვან გამარჯვებაში საკმაოდ სოლიდური წვლილი შეიტანა ქართველმა ცენტრმა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 17 წუთი გაატარა. გიორგიმ 13 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა კალათბურთელმა 6-დან 5 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

შერმადინის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 17 შეადგინა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ თანაგუნდელ ადამ ვაშინსკის ჩამორჩა. აღსანიშნავია, რომ დაგროვილი ქულებითაც გიორგი მხოლოდ ვაშინსკის უკან აღმოჩნდა, რომელმაც 16 ქულა ჩააგდო.

უნიკახას 3 ტურის შემდეგ 2 მოგების წილ 1 წაგება აქვს და მეორე ადგილზე იმყოფება. მომდევნო შეხვედრას კი ისევ ლიმოჟთან, ოღონდ სტუმრად გამართავს.

გიორგი ცინცაძისა და მიხეილ ბერიშვილის აღ შამალმა ყატარის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ქართველებმა კი, ტრადიციულად, შედეგიანად ითამაშეს.

დავიწყოთ ცინცაძით, რომელმაც ზედიზედ მეორე ორმაგი დუბლი შეასრულა, ხოლო ქართველების ჯამურმა რმა 31 ქულა შეადგინა. აღ შამალის მეტოქე აღ რაიანი გახლდათ, რომელსაც ქართველების გუნდმა 86:74 სძლია. ცინცაძემ შეუცვლელად ითამაშა და 40 წუთში 17 ქულა, 3 მოხსნა, 10 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ 7-დან 5 სამქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 ორქულიანი ააცილა. ქართველი უკანახაზელის სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 23-ს გაუტოლდა და ის თანაგუნდელთა რიგებში მხოლოდ მოჰამედ ჰარატის (43) ჩამორჩა. ამ უკანასკნელმა 27 ქულას 18 მოხსნა წაამატა.

ბერიშვილმა მოედანზე 28 წუთი გაატარა და 14 ქულა, 5 მოხსნა და 5 პასი მოაგროვა. მიშამ 4-ვე ორქულიანი და 6-დან 2 სამქულიანი გამოიყენა.

აღ შამალს 9 ტურში 8 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე იმყოფება.

ლინეკერმა დე ხეა სპაიდერმენს შეადარა

პრემიერ ლიგის 22-ე ტურში ოთხეულის საგზურისთვის მებრძოლი მანჩესტერ იუნაიტედი სტუმრად „უემბლიზე“ მაურისიო პოჩეტინოს ტოტენჰემს დაუპირისპირდა და მოწინააღმდეგე მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა.

შეხვედრაში რეკორდი დააფიქსირა „წითელი ეშმაკების“ ესპანელმა მეკარემ, დავიდ დე ხეამ. კერძოდ, დე ხეამ ლონდონელების წინააღმდეგ 11 სეივი შეასრულა. მსგავსი მაჩვენებელი პრემიერ ლიგის მიმდინარე სეზონში არც ერთ მეკარეს არ დაუფიქსირებია.

ინგლისის ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი და ამჟამად საფეხბურთო ექსპერტი გარი ლინეკერის თქმით, მართალია, ტოტენჰემს გამარჯვების მოპოვება შეეძლო, მაგრამ ოლე გუნარ სოლსკიაერის გუნდის კარს სპაიდერმენი იცავდა.

გარი ლინეკერი:

– მნიშვნელოვანი გამარჯვება მანჩესტერ იუნაიტედისათვის. ჟოზე მოურინიოს წასვლის შემდეგ მათი თამაშები მრავლისმეტყველია. ტოტენჰემმა მეორე ტაიმში შესანიშნავი თამაში აჩვენა, საბოლოო ჯამში, მათ გამარჯვების მიღწევა შეეძლოთ, თუმცა მოწინააღმდეგის კარს სპაიდერმენი იცავდა.

ბარსა ნეიმარზე არ საუბრობს

კატალონიური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეიმარის ბარსელონაში დაბრუნების სურვილს 3 წყარო ადასტურებს.

თუ ესპანელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, პარი სენ-ჟერმენის ბრაზილიელი შემტევი კატალონიურ კლუბში დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებს. „მუნდო დეპორტივოს“ ამ ინფორმაციას პსჟ-დან, კატარიდან და ბარსელონიდან სანდო წყაროები უდასტურებენ.

ვერ გეტყვით, რამდენად სანდო წყარო ჰყავს „მუნდო დეპორტივოს“, რადგან ბარსელონას ნეიმარის დაბრუნების არც სურვილი აქვს და არ შესაძლებლობა.

ბარსელონის პრესმდივანი ჟოზეპ ვივესი ჟურნალისტებთან საუბრის დროს კომენტარს რამდენიმე აქტუალურ საკითხზე აკეთებს, მათ შორის, ნეიმარზეც.

ჟოზეპ ვივესი:

– ნეიმარის დაბრუნება? არასდროს ვსაუბრობთ იმ ფეხბურთელებზე, რომლებსაც კონტრაქტი სხვა კლუბთან აკავშირებთ. თავის დროზე მან ბარსელონის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო და ეს გადაწყვეტილება სავსებით ლეგიტიმური იყო.

შეგახსენებთ, ნეიმარი ბარსელონიდან პარი სენ-ჟერმენში 2017 წლის ზაფხულში სარეკორდო თანხის, 222 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. მოგვიანებით, ბრაზილიელმა ეს გადაწყვეტილება ინანა და ესპანეთში დაბრუნების სურვილი გამოთქვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

16 იანვარი

ფეხბურთი

აზიის თასი

ყირგიზეთი-ფილიპინები 3:1
ს.კორეა-ჩინეთი 2:0
ვიეტნამი-იემენი 2:0
ირანი-ერაყი 0:0

ინგლისი. ღიგის თასი

საუთჰემპტონი-დერბი 2:2 (3:5პ)

ესპანეთი. სამეფო თასი

ატლეტიკო-ხირონა 3:3
სევილია-ბილბაო 0:1
ლეგანესი-რეალი 1:0

იტალია. სუპერთასი

იუვენტუსი-მილანი 1:0

საფრანგეთი. 1 ღიგა

გენგამი-რენი 2:1
მონაკო-ნიცა 1:1
ნიმი-ნანტი 1:0
ტულუზა-ლიონი 2:2
სტ.ეტიენი-მარსელი 2:1

სატუნირო ცხრილი:

1.პსჟ	18	16	2	0	53-10	50
2.ლილი	20	11	4	5	32-20	37
3.სტ.ეტიენი	20	10	6	4	31-23	36
4.ლიონი	20	9	7	4	33-24	34
5.მონპელიე	19	8	7	4	26-16	31
6.ნიცა	20	8	6	6	15-18	30
7.სტრასბური	20	7	8	5	32-24	29
8.რენი	20	8	5	7	29-27	29
9.მარსელი	19	8	4	7	32-29	28
10.რეიმსი	20	6	9	5	16-19	27
11.ნიმი	19	7	5	7	27-28	26
12.ბორდო	19	6	7	6	22-22	25
13.ნანტი	20	6	5	9	26-27	23
14.ტულუზა	20	5	7	8	20-31	22
15.ანჟე	19	4	8	7	21-24	20
16.კაენი	20	3	9	8	20-28	18
17.ამიენი	20	5	3	12	17-34	18
18.დიჟონი	19	4	5	10	17-32	17
19.მონაკო	20	3	6	11	18-31	15
20.გენგამი	20	3	5	12	16-36	14

რეალური ვარიანტები

ლონდონური ტოტენჰემი გამალებით ცდილობს, კრისტიან ერიკსენს ახალი კონტრაქტი გაუფორმოს და მადრიდის რეალში არ გაუშვას. თუმცა, როგორც ჩანს, დანიელ ფეხბურთელს ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს.

ტოტენჰემმა კრისტიანს კიდევ ერთხელ შესთავაზა ახალი კონტრაქტი და კიდევ ერთი უარი მიიღო, რაც სამეფო კლუბის შანსებს კიდევ უფრო ზრდის.

აქედან გამომდინარე, რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი გააქტიურებულია და მზად არის, ერიკსენი „ბლანკოსის“ ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებულ შენაძენად აქციოს.

იმ ფონზე, რომ ერიკსენი კონტრაქტს არ აფორმებს, ტოტენჰემი მის მოქმედ კონტრაქტზეც ფიქრობს. ამ შემთხვევაში თავად ინგლისელთა ინტერესებშიც შევა დანიელის გაყიდვა, ვინაიდან ის წელიწად-ნახევარში თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს.

ესპანურ გამოცემებზე დაყრდნობით, რეალში ახალგაზრდა კრიშტოფ პიატეკის გადასვლის შემთხვევაში მაურო იკარდის ტრანსფერი დაიბლოკება, რადგან პერესი 2 ცენტრფორვარდის ყიდვას არ აპირებს, ვინაიდან გუნდში ისედაც ჰყავს კარიმ ბენზემა.

იმ შემთხვევაში, თუ ჯენოა რეალის 40 მილიონიან წინადადებას დათანხმდება, პიატეკი ზამთარშივე მოირგებს სამეფო კლუბის მაისურს და ყველაფერი მასზე იქნება დამოკიდებული.

ახალგაზრდა პოლონელზე ასევე პრეტენზიას აცხადებენ არსენალი და მილანი, მაგრამ ფავორიტად პერესია.

ტრანსფერის ალბათობა ძალიან დიდია და ამ შემთხვევაში, „ბლანკოსი“ იკარდიში 120 მილიონს აღარ გაიმეტებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამეფო კლუბის ინტერესი სხვა ფორვარდებისკენ არის მიმართული, ტიმო ვერნერის მიმართ ინტერესი კვლავ არსებობს.

შეთანხმებას ფასი აჭიანურებს, რადგან ლაიფციგი მაქსიმალურად ცდილობს, ფორვარდის სანაცვლოდ რაც შეიძლება დიდი თანხა მიიღო. პერესი კი, ვერნერისა და მისი კლუბის კონტრაქტით სარგებლობს, რომელსაც ვადა მალე ეწურება და დროის გასვლასთან ერთად ფეხბურთელის ფასიც იკლებს.

„ბლანკოსი“ მზად არის ტრანსფერი ოფიციალურად იანვარშივე გამოაცხადოს, თუ ლაიფციგი 45 მილიონიან წინადადებას დეთანხმება, მაგრამ გერმანელებს ამ საკითხზე რადიკალური პოზიცია აქვთ.

ტიმოს ტრანსფერი ასევე დიდად იქნება დამოკიდებული პიატეკთან მოლაპარაკებებზე. თუ „ბლანკოსი“ ახალგაზრდა პოლონელს შეიძენს, მაშინ რეალის რადარიდან ვერნერიც გაქრება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჩინელ მარტოხელა მასწავლებლებს „სასიყვარულო შვებულებაში“ გაუშვებენ

ჩინეთის ჩჟეცზიანის პროვინციის ქალაქ ხანჩჟოუში მდებარე საშუალო სკოლა თავის იმ მასწავლებლებს, რომლებიც ქორწინებაში არ იმყოფებიან, უფლებას მისცემს, უფრო მეტი დრო დაუთმონ დასვენებას.

ახალგაზრდა თანამშრომლებს, რომლებიც არ იმყოფებიან ქორწინებაში ან არ ჰყავთ ბავშვები, შეეძლებათ, თვეში ორჯერ მოკლე „სასიყვარულო შვებულებით“ ისარგებლონ.

– ჩვეულებრივ, ჩვენი მასწავლებლები ბევრს შრომობენ, – განმარტა სკოლის დირექტორმა, – იმედი მაქვს, რომ ისინი თვეში ორჯერ ამ შვებულებით ისარგებლებენ, დაისვენებენ, ცხოვრებით დატკბებიან და დროს ახლობლების გარემოცვაში გაატარებენ.

– მიმაჩნია, რომ მოსწავლეებიც თავს ბედნიერად იგრძნობენ, თუ მათი მასწავლებლები ბედნიერები იქნებიან, – განაცხადა დირექტორმა და იქვე განმარტა, რომ მათი თანამშრომლების დაახლოებით 40 პროცენტი დაუოჯახებელია.

ორი წლის ბავშვი 100 მეტრი სიღრმის ჭაბურღილში ჩავარდა

ესპანეთის მალაგის პროვინციის ქალაქ ტოტალანში გრძელდება სამძებრო სამუშაოები ორი წლის ბავშვისა, რომელიც ჭაბურღილში ჩავარდა.

მისი ოჯახი ნათესავებთან იმყოფებოდა სტუმრად, რომლებიც ქალაქის მახლობლად, მთებში ცხოვრობენ. ბიჭი იმ დროს დაიკარგა, როდესაც ბიძაშვილთან ერთად ქუჩაში თამაშობდა. მშობლები ვარაუდობენ, რომ ის 25 სანტიმეტრი დიამეტრის ჭაბურღილში ჩავარდა, რომლის სიღრმეც 100 მეტრს აღწევს და რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინ გაბურღეს.

ჭაბურღილი მეტისმეტად ვიწროა იმისთვის, რომ მასში მოზრდილი ადამიანი გაეტიოს. მეხანძრეებმა მიწისქვეშ ავტომატური კამერა ჩაუშვეს და იპოვეს კანფეტების პაკეტი, რომელიც ბავშვს ჰქონდა. 80 მეტრის სიღრმეზე კამერა წინაღობას გადააწყდა.

ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის თანამშრომლებმა მიწისა და ქვების ამოღება დაიწყეს, რომელიც ჭაბურღილს კეტავს, თუმცა მისი სიღრმე მუშაობას ართულებს. ერთი დღის მუშაობის განმავლობაში მათ მხოლოდ 60 სანტიმეტრით წინ წაწევა მოახერხეს.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ბავშვი იმ შემთხვევაში შეძლებდა გადარჩენას, თუ მიწის ქვეშ არსებულ საჰაერო ნაკვეთურში აღმოჩნდებოდა. სამაშველო სამუშაოების გახანგრძლივება მისი კეთილად დასრულების შანსებს ამცირებს.

ვეფხვებს გაქრობას უწინასწარმეტყველებენ

უახლოეს ათწლეულში ვეფხვების პოპულაცია, შესაძლოა, გადაშენდეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა საქველმოქმედო ორგანიზაცია ბორნ ფრიზე დაყრდნობით ავრცელებს.

ცხოველთა დამცველების თქმით, ბოლო ასი წლის განმავლობაში პოპულაციის 96 პროცენტამდე გადაშენდა. ამ დროისთვის ველურ ბუნებაში დაახლოებით ოთხი ათასამდე ვეფხვი ბინადრობს. მათ სწრაფ გადაშენებას ბრაკონიერობა და ვეფხვების საბინადრო ადგილების განადგურება იწვევს.

ორგანიზაციის თანამშრომლებმა ამ სახეობის გადასარჩენად საგანგებო მობილიზაცია გამოაცხადეს. მათ იმედი აქვთ, რომ ბუნების დაცვის აქციების გამართვით გავლენას მოახდენენ ბრაკონიერობის შემცირებასა და საბინადრო ადგილების დაცვაზე.

მათ განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ინდოეთი, სადაც ველური ბუნების მრავალფეროვნება საფრთხის წინაშე დგას ცხოველების, მათ შორის ვეფხვების შეუზღუდავად დახოცვის გამო. მათი სხეულის ნაწილებს ტრადიციულ მედიცინაში იყენებენ. გარდა ამისა, ქვეყანაში ტყეების ქაოსური ჩეხა მიმდინარეობს, რაც დამანგრეველად მოქმედებს ცხოველების პოპულაციაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გუგა კაჭახიძე: „საქართველოს ჩემპიონატით უცხოელი აგენტები დაინტერესდნენ“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ნატს. ამ მხრივ ყველაზე დადებითი რაც მოხდა, ეს არის ეროვნულ ლიგაში ხელოვნურ მოედნებზე თამაშის აკრძალვა. სხვათა შორის, ამას ჩემი უცხოელი პარტნიორებიც აქცევენ ყურადღებას. მათთვისაც მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელები ნორმალურ საფარზე თამაშობდნენ. ჩემი აზრით, ახლა მთავარი აქცენტი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე უნდა გადავიტანოთ.

– თქვენი მოწვევით უცხოელი სკაუტები ხშირად ესწრებიან ეროვნული ლიგის მატჩებს. საინტერესოა მათი მოსაზრებები, რას ამბობენ და როგორ აფასებენ ჩვენს ჩემპიონატს?

– ბოლო 2 სეზონზე რომ ვთქვათ, მგონი, ამდენი სკაუტი საქართველოში არასოდეს ჩამოსულა. რომც არაფერი თქვან, უკვე ასეთი ხშირი ვიზიტებიც ნიშნავს, რომ ეროვნული ლიგა მათთვის საინტერესოა. ადრე ცოტა სხვა ვითარება იყო, გვიწევდა გამუდმებული თხოვნა და მოწვევა, რათა ამა თუ იმ ფეხბურთელის სანახავად როგორმე ჩამოგვეყვანა. ბუნებრივია, ინტერესის ზრდა ეროვნული ნაკრების შედეგებმაც გამოიწვია და ასევე ევროპაში წასულმა ჩვენმა ფეხბურთელებმაც გაამართლეს იმედები. ადრე სულ ვეუბნებოდი, რომ ჩემპიონატის ცენტრალური მატჩია, ხომ არ ჩამოხვალთ, იქნებ დაინტერესდეთ, დაგპატიჟებთ... ახლა კი თავად მეკითხებიან, როდის და სად რა თამაშია, სად შეიძლება, საინტერესო ფეხბურთელი ნახონ, ვინმეს განსაკუთრებული პროგრესი ან რეგრესი ხომ არ აქვს... ბოლო პერიოდში რამდენიმე კლუბის შეკრებებითა და დაგეგმილი სპარინგ-მატჩებითაც დაინტერესდნენ.

– ეროვნული ლიგის გამორჩეული ფეხბურთელები – საბა ლობჟანიძე, ოთარ კიტეიშვილი და გიორგი ხარაიშვილი კარიერას დარნიის, ავსტრიისა და შვედეთის ჩემპიონატებში წარმატებულად აგრძელებენ. ამ ტრანსფერებზე სწორედ თქვენ მუშაობდით. არის თუ არა ამჟამად ინტერესი სხვა ფეხბურთელების მიმართ?

– საქართველოში სამივე მართლაც გამორჩეული იყო და მიხარია, რომ სამივემ გააგრძელა განვითარება და დღეს უკვე ევროპაში თავიანთი კლუბების ლიდერებად მიიჩნევიან. ეს იმას მოწმობს, რომ ეროვნული ლიგიდან შეიძლება ფეხბურთელი ევროპაში წავიდეს და იქაურ ჩემპიონატშიც ერთ-ერთი საუკეთესო გახდეს. ეს კარგია დინამოსა და საბურთალოსთვისაც, საიდანაც ისინი წავიდნენ; და ცხადია, ჩემპიონატის იმიჯზეც დადებითად მოქმედებს. სადღეისოდ ინტერესი არის რამდენიმე ფეხბურთელის მიმართ, თუმცა ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია და ვნახოთ, რა გამოვა...

– რას ურჩევდით ქართულ კლუბებს?

– აუცილებლად გახსნან აკადემიები ისე, როგორც ეს აქვთ თბილისის დინამოს, ლოკომოტივს, საბურთალოს... ჰყავდეთ ასაკობრივი გუნდები, რაც მათ სელექციის საშუალებას მისცემს, ექნებათ მეტი კონკურენცია, გაზრდიან მეტ ფეხბურთელს... ამასთან საჭიროა ნელ-ნელა წარმატებები ვაჩვენოთ ევროტურნირებზეც, რაც კერძო სექტორიდან თანხების მოსაზიდად უმნიშვნელოვანესია. რა ბიუჯეტიც დღეს ჩვენს კლუბებს აქვთ, პრაქტიკულად შეუძლებელია უცებ დიდ ნახტომზე ფიქრი. სამწუხაროდ, ამ მხრივ დიდი სხვაობაა ჩვენსა და ჩვეულებრივ ევროპულ კლუბებს შორის. დარწმუნებული ვარ, კერძო ბიზნესის დაინტერესების და, დაფინანსების გაზრდის შემთხვევაში, ტოპტრანსფერებზე მუშაობაც არ იქნება წარმოუდგენელი.

ასტროპროგნოზი

18 იანვისათვის

ვერძი – გრძნობების გამოვლენა სარისკოა. საღამოს საინტერესო ამბავს შეიტყობთ ან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. **კურო** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ტყუპები** – ძლიერდება აურა, სასიცოცხლო პოტენციალი. შთაგონება გეწვევათ, რომელსაც ხორცს საკმაოდ იოლად შეასხამთ. **კირჩხიბი** – მატერიალური კუთხით პრობლემური დღეა. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. ასევე სასარგებლო იქნება მეგობრებთან კონტაქტი და ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – დაუფიქრებლობა, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაგაზარალებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **სასწორი** – პირად ცხოვრებაში შექმნილ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ. დღეს კარგად დაისვენეთ. **ღრიანკალი** – ეს დღე უთუოდ ბავშვებსა და ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ხალხმრავალ ადგილებს მაქსიმალურად ერიდეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი, თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა იზრდება. საკუთარი პოზიციების დაცვას იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. **მერწყული** – საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. თავს ბედნიერად გრძნობთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი ტენდენციები გრძელდება. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. საფრანგეთის პრეზიდენტი; 2. ეგვიპტის ნაკრებისა და ლივერპულის ფეხბურთელი; 3. გულიანი კანფეტი; 4. უმაღლესი თანამდებობის პირთა სათათბირო ძველ საბერძნეთში; 7. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 8. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 12. უზბეკეთის დედაქალაქი; 14. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 16. ახალი წლის სახელწოდება გურიაში; 17. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 19. აზიაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 20. ერთხმიანი სიმღერა ოპერაში.

თარაზულად: 5. მხარე გერმანიაში; 6. ამერიკული სამხედრო ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 9. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. თურქული აბანო; 11. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 13. ირანის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 15. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 18. მესაქონლეობის მსხვილი ფერმა ლათინურ ამერიკაში; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომობილელი; 22. მონასტერი ყვარლის რაიონში; 23. ხელით სატყორცნი ფეთქებადი ჭურვი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დედვეიტი; 2. ქააბა; 3. ფონოთეკა; 4. ტიტანი; 7. დრამი; 9. მურეი; 12. ტრუსკავეცი; 14. ბალბოა; 15. შავთელი; 17. გერგეტი; 20. შტაბი.

თარაზულად: 5. წეროვანი; 6. კაოლინი; 8. ნებიერი; 10. გემრიელი; 11. სტიაუა; 13. დიადორა; 16. მიკიტანი; 18. გენკი; 19. ჭვავი; 21. უტზონი; 22. ღლიღვები; 23. მაშტოცი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კონკური; 2. ქართლი; 3. მოკასინი; 4. სინოპეკი; 7. კონდიტერი; 8. ფრეჟიუსი; 12. კაროტინი; 14. ესტაკადა; 16. ტყიბული; 17. სახიობა; 19. კები; 20. ბრნო.

თარაზულად: 5. ხოჭოლავა; 6. სტოკჰოლმი; 9. ლუგანო; 10. ლოპესი; 11. ტენგე; 13. შაშხი; 15. ესქილე; 18. წყალი; 21. ზავენტემი; 22. უიარაღო; 23. ფილიპსი.

ნიკა თავაძეს ქართული თეატრის ინტერნეტ-ბიბლიოთეკა-არქივის დაარსება სურს

მსახიობ ნიკა თავაძეს ინტერნეტსივრცეში ქართული თეატრის ინტერნეტ-ბიბლიოთეკა-არქივის შექმნა სურს. ხელოვანის ინიციატივას თეატრის მოყვარულების, მსახიობებისა და თეატრმცოდნეების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ნიკა თავაძე:

– ძვირფასო თეატრმცოდნეებო, ხომ არ გქონიათ ან გაქვთ სურვილი, შეიქმნას ინტერნეტსივრცეში ქართული თეატრის ინტერნეტ-ბიბლიოთეკა-არქივი, სადაც შევიდოდა ყველა სპექტაკლი, ძველი თუ ახალი, ნაწყვეტი და ფოტომასალა, ასევე მოკლე ინტერვიუები და ჩანაწერები?

წინა თაობების გამოცდილება მნიშვნელოვნად გამოადგება მომავალ თაობებს.

ვფიქრობ, დროა შეიქმნას ინტელექტუალური და შემოქმედებითად დახარისხებული და სისტემაში მოყვანილი თეატრალური ბაზა, რომელიც შეასრულებს ქართული თეატრის არქივის ფუნქციას, სადაც წლების მიხედვით დაიდება ყველა ჩვენს ხელთ არსებული ვიზუალური თუ აუდიო მასალა. ეს იქნება უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი როგორც ქართული თეატრისთვის, ასევე მომავალი თაობებისთვის.

თუ სურვილი გაგიჩნდებათ, მზად ვარ, ამ თემასთან დაკავშირებით შევიკრიბოთ, მოვისმინოთ ერთმანეთისა და მოწვეული სტუმრების აზრი.

თამაზ ვაშაკიძის კოლეგებმა და მოსწავლეებმა საქართველოს პრეზიდენტს განცხადებით მიმართეს

ქართველი ქორეოგრაფის თამაზ ვაშაკიძის კოლეგებმა და მოსწავლეებმა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს განცხადებით მიმართეს.

ირაკლი შენგელია:

– საქართველოს პრეზიდენტის, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის სახელზე შევიტანეთ განცხადება თამაზ ვაშაკიძის კოლეგებმა და მოსწავლეებმა თხოვნით, ყურადღება მიაქციოს ბატონი თამაზის საქმეს, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი აბსოლუტურად უდანაშაულოა.

იმედი გვაქვს, რომ პრეზიდენტი გაითვალისწინებს ჩვენს თხოვნას და უშუამდგომლებს ბატონ თამაზს, რათა მოხდეს მისი საქმის ხელახალი განხილვა.

გვსურს, რომ თამაზ ვაშაკიძეს მიეცეს საშუალება, დაბრუნდეს სამშობლოში, რათა დაიცვას საკუთარი სიმართლე და ღირსება.

მარჯანიშვილის თეატრმა დაგეგმილი სპექტაკლები გააუქმა

მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დაგეგმილი სპექტაკლები მოიხსნა:

– მარჯანიშვილის თეატრი მწუხარებას გამოთქვამს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილთა ოჯახებს!

დანიშნული სპექტაკლები „მთვრალი ალუბალი“ და „თავისუფალი პეპლები“ მოიხსნა და ჩატარდება ორშაბათს, 21 იანვარს.

რაც შეეხება ბილეთებს, თქვენ შეძლებთ, არსებული ბილეთებით დაესწროთ სპექტაკლს და, იმ შემთხვევაში, თუ ბილეთების დაბრუნება გსურთ, უნდა მობრძანდეთ თეატრის სალაროში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პარიზელმა სტრიპტიზიორმა ტურისტს სცემა

პარიზელმა სტრიპტიზიორმა ქალმა ბრიტანელ ტურისტს, რომელთანაც შელაპარაკება მოუვიდა ცეკვის ღირებულებასთან დაკავშირებით, სცემა.

ინციდენტი პიგალის მოედანზე (პარიზის „წითელი ფარნების კვარტალი“) მოხდა. ბრიტანელი ტურისტი ჯონათანი სტრიპტიზკლუბში შევიდა, სადაც მას შეუთანხმდნენ, რომ სპეციალურ ცეკვაში 50 ევრო გადაეხადა, მაგრამ, როგორც კი უცხოელის უკან კარი დაიხურა, ცეკვის ფასი 250 ევრომდე გაიზარდა.

ჯონათანმა უარი განაცხადა სტრიპტიზიორისთვის ფულის გადახდაზე და გასასვლელისკენ გაემართა, მაგრამ მას კლუბის თანამშრომელი წამოეწია და ჯერ სილა გააწნა, შემდეგ კი რკინის ჯოხი ჩასცხო თავში.

ამის შემდეგ კონფლიქტში დაწესებულების მფლობელი ქალბატონი ჩაერთო, რომელიც ასფალტზე დაგდებულ ბრიტანელს რევოლვერით ემუქრებოდა.

ტურისტმა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა. პოლიციამ დამნაშავეები ძალადობის გამოყენებით გამოძალვის ბრალდებით დააკავა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი კალანდია: „დიახ, მე და შენ ავაშენეთ ეს ნაღმზე მჯდომი ქალაქი!“

ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია თბილისში მომხდარ უბედურებებში ყველა ჩვენგანის დანაშაულს ხედავს:

– მახსოვს, თვითმფრინავით მორიგი დაშვების დროს გამცილებელმა გამოაცხადა, „ლაინერის სრულ გაჩერებამდე ნუ წამოდგებითო“, თუმცა ვინ უსმინა, ბორტის ყველა ქართველი მგზავრი უკვე ფეხზე იყო და ზედა იარუსში გამალებით ეძებდა საკუთარ ბარგსა და ნივთებს...

უცებ თვითმფრინავმა დაამუხრუჭა და საშინელებაც მოხდა, ადამიანები ერთმანეთში აიგლისნენ, ვის თავში მოხვდა, ვის ფეხზე, ზოგი იატაკზე ეგდო, ზოგიც – წინა სალონში...

საბედნიეროდ, ყველა გადარჩა, თუ მსუბუქად დაშავებულ წყვილს არ ჩავთვლით, რომლებმაც ფეხზე წამოდგომის შემდეგ ლაინერის პილოტებსა და ბორტგამცილებლებს საშინელი ისტერიკა მოუწყვეს, მგზავრების ნაწილიც აჰყვა, კომპენსაციასა და ზიანის ანაზღაურებას ყოველი შემთხვევისათვის ითხოვდნენ...

სულ ასე არ არის?! უბედურება რომ დატრიალდება, მერე ვიწყებთ მიზეზებისა და უფრო ხშირად კი დამნაშავეების ძებნას. არადა, დამნაშავეები ჩვენ ვართ, დიახ, ჩვენ, უფრო სწორად მე, შენ, შენი და ჩემი მშობლები, ნათესავები, მეზობლები, მეგობრები, ახლობლები, ნაცნობები და თანამშრომლები.

დიახ, მე და შენ ავაშენეთ ეს ნაღმზე მჯდომი ქალაქი, სადაც სასუნთქი არეალი მოვსპეთ, რამეთუ ყველა ხე გავჩეხეთ და ყველა მინდორი მოვჯეგეთ. სამაგიეროდ, ერთმანეთს თვალები ამოვუღამეთ ბეტონის ცათამბჯენებით, ბლოკის მაღალი გალავნებით, დიახ, ეს ჩვენ ვართ, ვინც ჩვენი ქალაქი გამოვტენეთ ჯართით და მხრჩოლავი მანქანებით, რომელთა გამონაბოლქვი ყველაზე სანუკვარის – სუფთა ჰაერის ჩასუნთქვის უფლებასაც აღარ გვიტოვებს. დიახ ეს მე და შენ ვართ, ვინც ქუჩებში გადასასვლელებზე არ გადავდივართ, შუქნიშანზე არ ვჩერდებით, გადამეტებული სიჩქარით დავქრივართ, ახლად ჩარგულ ყვავილებსა და ხეებს ვპუტავთ, ბაღის სკამებს ვამტვრევთ, სამარშრუტო ტაქსებში ცხენებივით ფეხზე ვდგავართ, საცობებში მანქანებით რიგს ვარღვევთ და ერთმანეთს ვჭეჭყავთ, ტრანსპორტს იქ ვაჩერებთ, სადაც მოსულა.

დიახ, ეს ჩემი და შენი სადარბაზოებია, ნაგვით გამოვსებული, ჭუჭყით გამოღამებული, შარდის სუნით აყროლებული, სარდაფები ვირთხებითა და სიბინძურით სავსე, ლიფტები კი – ღილაკებდამწვარი და სარკეჩალეწილი. დიახ, ეს მე და შენ ჩვენს ყველა ახლობელთან, ნაცნობთან თუ მეგობართან ერთად შევქმენით და განვავრცეთ. ჩვენ მივაშენეთ ამ კორპუსებს ლოჯიები, უკანონო აივნები, ჩვენ ვიყიდეთ ეს საშინელი და გაუმართავი შენობები, ჩვენ დავხუჭეთ თვალი ბევრ უკანონობასა და უმეცრებაზე....

ყოველ დილას უნივერსიტეტში ლექციაზე მიმავალი ვუყურებ იმ კორპუსს, რომლის კარკასიც ვერეს ხეობაში საშინელი ტრაგედიის დროს ნახევრად წყალში ჩაძირული იდგა. მისმა მფლობელმა კორპუსი მაინც დაასრულა და ბინებიც წარმატებით გაყიდა, არავის დაუკვნესია, არავის დაუჩივლია, სკანდალებს გამოდევნებულ ქართულ ჟურნალისტიკაშიც ეს საკითხი არავის წამოუჭრია... ხელმეორე წყალდიდობისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ იმ კორპუსში მცხოვრებლებმა ხომ განაჩენი საკუთარ თავს თავადვე გამოუტანეს. ღმერთმა დაიფაროს ამ სეისმურად აქტიურ რეგიონში რაიმე მსგავსი, მაგრამ წარმოდგენაც კი მზარავს, რა შეიძლება დატრიალდეს ამ ბედკრულ თბილისში...

ასეა, ასე, ჩემო ძვირფასებო, ამიტომაა ცამდე მართალი ანა დოლიძე, როდესაც ამბობს, რომ ყველანი მოვკვდებით ასეთი საშინელი ყოფით.... რატომ?! იმიტომ, რომ ჩვენ ვართ სოციუმი, რომელმაც სახე დაკარგა, რომელიც მნიშვნელოვან პროტესტს მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებზე აწყობს, ისიც იმიტომ, რომ ყველაფერში დამნაშავე ყოველთვის მთავრობა ჰგონია. ჩვენ გავხდით ხალხი, რომელიც ხსნას მხოლოდ ღმერთისგან ელის, „ხელი გაანძრიე და გიშველიო“ დიდი ხანია დაგვავიწყდა, ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელსაც გვინდა, ყველგან იაფად გამოვძვრეთ და ამ ძიებაში ყველაზე ძვირფასს – სიცოცხლეს ვკარგავთ....

ვუყურებ და ვხედავ: ნელ-ნელა ამაზონის ტყეებში მცხოვრებ იმ ერთგვარ რეპტილიას ვემსგავსებით, რომელიც სიცოცხლის „გადასარჩენად“ ჯერ შვილების, შემდეგ კი საკუთარი სხეულის ჭამას იწყებს.

ნანუკა გულუას გული ატკინეს

„ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობ ნანუკა გულუას გული ატკინეს. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა მას წერილი მისწერა, სადაც სიყვარულში გამოუტყდა, თუმცა საჯაროდ აღიარა, რომ მეგრელების ატანა არ აქვს:

– თქვენგან დიდი სიყვარულის, პატივისცემისა და სითბოს გარდა არაფერი მახსენდება, მაგრამ ორგანულად ვერ ვიტან მეგრელებს, მძაგს საშინლად და ღიად ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას. მარიაჟობის, სიგოიმის, სოფლელობის ეტალონები არიან. შენც ხომ კარგად იცი.

ნანუკა გულუა:

– მთელი დღე ჩამიშხამა! ასეთი ბოღმა, ღვარძლი და მტრობა უბრალოდ გაგვანადგურებს! ერთ მშვენიერ დღესაც არ ვიარსებებთ!

ვაფრენ ყველა ქართველზე, ვგიჟდები ყველა კუთხის დამახასიათებელ თვისებებზე!

რა გავაკეთოთ? როგორ მოვიქცეთ, რომ უბრალოდ პატივი ვცეთ და გვიყვარდეს ერთმანეთი?! ეს პრობლემა როგორ მოვაგვაროთ? დახმარება სჭირდება ერს! სოს! ტრენინგები საკითხზე, რომ მხოლოდ ერთმანეთის პატივისცემა, სიყვარული და ერთად დგომა არის საწინდარი განვითარების!

სამგლოვიარო განცხადებები

ჰამლეტ მაქაცარიას გახსენება

კურთხეული იყოს 20 იანვარი, შენი დაბადების დღე. 80 წელი შეგისრულდებოდა ჭეშმარიტ ვაჟკაცსა და მამულიშვილს. ახლაც თვალწინ გვიდგახარ, როგორ დაგივიწყებთ შენი ყრმობის მეგობრები, უამრავი ნათესავი თუ ნაცნობი. მას უდიდესი ტრავმა მიაყენა ცხოვრებამ – ჯერ მამის ტრაგიკულად დაღუპვა, მერე უსაყვარლესი უფროსი ვაჟიშვილის ედუარდის დაღუპვა. ბევრს ფსიქოლოგიურად გატეხდა ასეთი ტრაგედიები, თუმცა, ჰამლეტ მაქაცარია, პირიქით, გაასალკლდევა.

როცა მის ბიოგრაფიას ვფურცლავთ, ჩვენ წინაშე მთელი ბრწყინვალებით იხატება დიდბუნებოვანი სულის, კეთილშობილებით აღსავსე კაცური კაცის პორტრეტი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უანგარობა, გულისხმიერება, მოყვრისადმი დიდი სიყვარული, თანადგომა და ქველმოქმედება.

მართალია, არსთა გამრიგემ ვაჟკაცისათვის მხოლოდ 53 ამქვეყნიური წელი გაიმეტა, მაგრამ აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ისეთი სახელი დატოვა, ზოგი საუკუნის განმავლობაში რომ ვერ მოასწრებდა. დაგეთანხმებით, რიგითი სპეციალისტიდან „აბსოუზის“ საექსპორტო-საიმპორტო გაერთიანების ხელმძღვანელობამდე აღზევება და ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის წოდების დამსახურება ბევრ რამეზე მეტყველებს.

გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ ძვირფასი ჰამლეტის უმცროსი ვაჟიშვილი საშა ღირსეულად აგრძელებს სახელოვანი მამის ტრადიციებს და მეუღლე რაიასთან და სერცესთან, ვერმოსწრებულ რძალ ლიკა კუპრავასთან, შვილიშვილებთან გიორგისთან, ედუარდთან და ანასტასიასთან ერთად, დიდი საახლობლოს თანადგომით, სათუთად ინახავს საამაყო მამის ნათელ სახელს.

20 იანვარს ჰამლეტ მაქაცარიას 80 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღეს მისი უამრავი მეგობარ-ნათესავი კიდევ ერთხელ დანამავს მის საფლავს ალალი ცრემლით. არდავიწყება და მოგონება თან გახლავს შენი ყრმობის მეგობრებს. შენთვის ავანთებთ სანთელს ჩვენს გულებში.

ჯემალ აკობიძე, სოსო ნაყოფია, ჯუმბერ ჯღამაია, ედუარდ ქარჩავა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 იანვრისთვის

- აშშ დოლარი — 2.6634
- ევრო — 3.0363
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4259
- 100 რუსული რუბლი — 3.9891

ამინდის პროგნოზი 18 იანვრისთვის

10 იანვრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

15 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

17 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ნათია თოდუამ ევროვიზიაში გერმანიის სახელით მონაწილეობაზე უარი თქვა

ქართველმა მომღერალმა ნათია თოდუამ გერმანიის სახელით ევროვიზიაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

გერმანული „ვოისის“ გამარჯვებული გასულ წელს საუკეთესო ექვს ფინალისტ შორის დასახელდა, მათგან გამარჯვებული გერმანიას ევროვიზიაზე წარადგენდა, თუმცა შარშან ნათიამ ვერ გაიმარჯვა.

წელს ქართველმა მომღერალმა ისევ მიიღო გერმანიისგან შეთავაზება, თუმცა უარი განაცხადა. ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ქართველი საზოგადოების ნაწილმა მის სიახლეში ეჭვი შეიტანა და შარშანდელი ინფორმაცია ეგონა.

ამის გამო ნათია თოდუა იძულებული გახდა, საჯარო განმარტება გაეკეთებინა:

– ძალიან გარკვეულები ვინც ხართ გერმანიის ევროვიზიის შესარჩევ კასტინგზე, მგონი, ის გავიწყდებათ, რომ 2019 წელია და ყოველ წელს ხდება 6 ფინალისტის შერჩევა.

წლევანდელ შესარჩევზე გერმანიის სახელით ვთქვი უარი, რადგან ამ ეტაპზე ალბომზე მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია ჩემი კარიერისთვის.

თუ ეს პოსტი გასაგები არ არის, შეგიძლიათ, გააგრძელოთ ევროვიზიის არქივებში ძიება, როგორც ჩანს, ზოგ-ზოგიერთების ჰობია სხვისი ასე თუ ისე წარუმატებელი შედეგების გაზიარება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ცხიმიანი საკვების მოყვარულს ორგანიზმიდან ორი ათასი კენჭი ამოაცალეს



ჩინეთში ექიმებმა ქალ პაციენტს, რომელიც მეტისმეტად ცხიმიანი საკვების მოყვარული იყო, ნაღვლის ბუშტიდან ორი ათასი ცალი კენჭი ამოუღეს.

გუიჩჟოუს პროვინციის ქალაქ გუიანის მცხოვრებმა ქალბატონმა, გვარად ვანმა, მუცლის არეში მკვეთრი ტკივილების გამო საავადმყოფოს მიმართა. ექიმებმა პაციენტი გასინჯეს და აღმოაჩინეს, რომ მისი ნაღვლის ბუშტი მნიშვნელოვნად იყო გადიდებული. მას გაუკეთდა ოპერაცია, რომლის დროსაც მისი ორგანოდან ორი ათასზე მეტი სხვადასხვა ზომის კენჭი ამოიღეს. მათგან ყველაზე მსხვილების დიამეტრი 0,8 სანტიმეტრს აღწევდა.

ექიმები მიიჩნევენ, რომ კენჭების ასეთი ანომალიური რაოდენობა პაციენტის არაჯანსაღ კვების რაციონს უკავშირდება. ვანი ნაკლებ წყალს სვამდა და არ საუზმობდა. მან ეს იმით ახსნა, რომ უმუშევრობის გამო საწოლიდან გვიან დგებოდა. მის რაციონს კი ცხიმიანი საკვები და ფასტფუდი შეადგენდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

დირექტორი საწარმოს კრებაზე თანამშრომლებს მიმართავს:

– თუ კარგად იმუშავებთ, ხელფასს ისევ გაგიზრდით!

ამ დროს ერთ-ერთი თანამშრომელი დაიძახებს:

– ვის ატყუებთ?! უკვე მეხუთედ გვიზრდით ხელფასს, მოცემით კი ერთხელაც არ მოგიციათ!

•••

მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს ეკითხება:

– წყალში ცურვისთვის სათვალე გაქვთ?

– არა.

– ციგურები ყინულზე სასრიალოდ?

– არა.

– და თხილამურები?

– არა და საერთოდ, ეს სასმელების მაღაზიაა.

– მაშინ ერთი ბოთლი არაყი მომეცით, – ეუბნება გამყიდველს და შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკებს, – აი, ღმერთო ხომ ხედავ, მინდოდა, სპორტით დავკავებულიყავი.

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– რა ტყუილად იქნევ მაგ ბუზების სახოცს!

– რატომ ტყუილად, უკვე ხუთი მოვკალი, სამი მამალი და ორი დედალი.

– კი მაგრამ, როგორ არჩევ, რომელია მამალი და რომელი დედალი?

– მაგას რა გამოცნობა უნდა, სამი ლუდის ქილაზე იჯდა, ორიც – ტელეფონზე.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, რა ქენი, ნახე სამსახური?

– ჰო. მართალია, ანაზღაურება მცირეა, სამაგიეროდ, ადვილი და ნაცნობი სამუშაოა.

– და რა სამსახურია ასეთი?

– სპერმის დონორის.

•••

ტელეფონის ზარი:

– ალო, ექიმო!

– რა მოხდა?

– ექიმო, გამოყვანილი თევზი შევჭამე და რძე მივაყოლე.

– მერე?

– მერე ის, რომ მაინტერესებს, მარწყვი გავრეცხო თუ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კრიშტიანუ რონალდუმ იუვენტუსთან ერთად პირველი ტიტული მოიგო

იუვენტუსმა იტალიის სუპერთასზე მილანი დაამარცხა 1:0.

შეხვედრაში ერთადერთი გოლი კრიშტიანუ რონალდუმ გაიტანა. რონალდუსთვის ეს პირველი ტიტულია იუვენტუსის შემადგენლობაში.

მატჩის შემდეგ რონალდუმ განაცხადა, რომ მისთვის ეს მხოლოდ დასაწყისია და კიდევ ბევრი ტიტულის მოგებას აპირებს მომავალში.

– მიხარია, რომ ჩემი გოლის წყალობით იუვენტუსმა გაიმარჯვა და ტიტული მოვიპოვეთ. მომავალში იუვენტუსთან ერთად კიდევ არაერთხელ გავიმარჯვებ და ამაში დარწმუნებული ვარ, – განაცხადა რონალდუმ.

ხორდი ალბა: „მინდა, კარიერა ბარსელონაში დავასრულო“

ბარსელონის მცველმა ხორდი ალბამ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ბარსელონაში სურს კარიერის დასრულება. ალბას თქმით, ის სხვა გუნდში საკუთარ თავს ვერ ხედავს და მისი მომავალი მხოლოდ ბარსელონას უკავშირდება.



– მინდა, კარიერა ბარსელონაში დავასრულო, რადგან ამ გუნდის აღზრდილი ვარ. შემდეგ მოხდა ისე, რომ ბარსელონის დატოვება მომიწია, მაგრამ საბოლოოდ ისევ აქ მოვხვდი და ამით ძალიან ბედნიერი ვარ, – განაცხადა ჟორდი ალბამ.

ალბა ბარსელონაში 2012 წელს გადავიდა, მანამდე კი ვალენსიის ღირსებას იცავდა

მალკომს ბარსელონიდან წასვლა უნდა

ბარსელონის ბრაზილიელ ახალწვეულ მალკომს გუნდიდან წასვლა სურს, რადგან მას თითქმის არა აქვს სათამაშო პრაქტიკა. ბარსელონის მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ მალკომს განუცხადა, რომ ის მხოლოდ ნაკლებად მნიშვნელოვან შეხვედრებში მიიღებს მონაწილეობას.

მალკომის მიმართ რამდენიმე ინგლისური კლუბი გამოხატავს ინტერესს და საუბარია ტოტენჰემზეც, რომელმაც, შესაძლოა, იჯარით აიყვანოს მალკომი.

ტოტენჰემს ამჟამად საკადრო პრობლემები აქვს და ახალი ფეხბურთელების დამატება სჭირდება.

იგუაინის ჩელსიში ტრანსფერი, შესაძლოა, ჩაიშალოს

გონსალო იგუაინის ლონდონის ჩელსიში ტრანსფერი, შეიძლება, ჩაიშალოს.

იგუაინი ამჟამად მილანში თამაშობს, მაგრამ მასზე უფლებები იუვენტუსს ეკუთვნის, რომელთანაც ჩელსიმ შეთანხმებას ვერ მიაღწია.

სავარაუდოდ, გუნდები სატრანსფერო ფასზე ვერ შეთანხმდნენ.

იგუაინის აგენტი რამდენიმე დღის წინ ლონდონში იმყოფებოდა, თუმცა, ვისთან ჰქონდა შეხვედრები, ეს ინფორმაცია არ გახმაურებულა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ბამბის უხეში ქსოვილი, მიტკალი; 3. ზეთით, კვერცხის გულით, ძმრითა და მდოგვით დამზადებული საწებელი; 4. მუნჯი კინოს ამერიკელი კომიკოსი; 7. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 9. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 12. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. პიტნით, ყინულით შეზავებული ვისკი ან რომი; 15. გემოს შეგრძნების უნარის დაკარგვა; 17. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 20. შავი ზღვის ძველი სახელწოდება.

თარაზულად: 5. უბანი თბილისში; 6. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბარიტონი; 8. მრავალფეროვანი ყვავილი; 10. მიუნხენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი; 11. დედამიწის თანამგზავრი; 13. ზღვის, ოკეანის მტაცებელი ცხოველი; 16. ქალის ძველებური ხელჩანთა; 18. ეგვიპტის დედაქალაქი; 19. ბაღჩეული ხილი; 21. ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად განადგურებული ქალაქი იტალიაში; 22. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 23. რომელიმე ნივთის მეორე ცალი მუზეუმში, კოლექციაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა